ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№68 (1578) 8–10 ივლისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვახტანგ გოგუაძე: მე და კგბ



**ალექსანდრე ჭაჭია:** ერთხელ ინაურმა ცეკა-ს პირველ მდივანს ე.შევარდნაძეს უჩვენა ფოტოსურათები, რომლებიც ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირის ჰომოსექსუალურ ორიენტაციაზე მოწმობდნენ...

4

**რევაზ მიშველაძე:** ნუღარ გააგრძელებთ ჩემი დღიურების ბეჭდვას...

2

## რაზე ხარჯავდით იმ ფირს? არ ჯობდა მაგ ფირზე „წინწყარო“ ჩაგეწერათ?

3

*დეპეშა*

### „ცნობილი ინტელიგენტების“ ერთ ჯგუფს

დიდად პატივცემულო კოლეგებო, ბატ: ჭაბუავ, რევაზ, არჩილ, შოთავ, გურამ და ჯანსუღ!!!

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა, რომელსაც „უდიდესი პატივისცემა ქართველი მწერლებისადმი არაერთხელ დაუმტკიცებია“, ამჯერად არ ისმინა თქვენი აჯა. მიუხედავად თქვენი ლამის დაჩოქილი ხვეწნა-მუდარისა, „თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, ჭეშმარიტი პროფესიონალი, ხალხისა და ხელისუფლების ერთგული ბატონი შოთა კვირაია“ მაინც გაათავისუფლა საკუთარი განცხადების თანახმად!..

ხელს ვაწერთ ყველა დანარჩენი 467 მწერალი, რომელთაც „საქართველოში მიღწეული სტაბილიზაცია, ცხოვრების აღმავალი რიტმი, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზა ხელს არ გვაძლევს“ და ვრჩებით „პოლიტიკურ და სახელმწიფო სარბიელზე ხელმოცარულ, ყალბი პოპულარობის მოყვარულ“ პოლიტიკან მწერლებად!

*შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, დავითი, ბესიკი, თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი, ტარიელი, თამაზი, გურამი, ნოდარი, რევაზი, გიორგი, გივი, ზაური, მურმანი, ირაკლი, ზურაბი, ელგუჯა, კობა, ნუგზარი, ოთარი, ჯემალი, ანზორი, ლევანი, ნინო, ქეთევანი, თამარი, რუსუდანი და ა.შ. და ა.შ.*

## შევარდნაძე მადრიდში მიემგზავრება

8 ივლისს საქართველოს პრეზიდენტი ე.შევარდნაძე მადრიდს გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ჩეხეთის, პოლონეთისა და უნგრეთისათვის ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების შემადგენლობაში გაწევრიანების მიწვევების გადაცემის ოფიციალურ ცერემონიალში, რომელიც ამავე დღეს, მადრიდში, ნატო-ს წევრი ქვეყნების სამიტზე შედგება.

საზეიმო ცერემონიალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნატო-ს წევრი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურები, კონგრესის მუნიციპალურ სასახლეში ჩატარდება.

ესპანეთში ვიზიტის დროს, საქართველოს პრეზიდენტი შეხვდება აშშ-ს, საფრანგეთის, თურქეთის, უკრაინისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს.

ე.შევარდნაძე 9 ივლისს გვიან საღამოს დაბრუნდება თბილისში. (იფრინდა)

## ივლისის ბოლოს ჟენევაში „მაღალ დონეზე“ შედგება ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები

პარლამენტის ინფორმირებული წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ივლისის ბოლოსათვის ჟენევაში შედგება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, რომელშიც ორი მხარის დელეგაციებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის, გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლები.

წყაროს თქმით, თბილისისა და სოხუმის დელეგაციები „მაღალ დონეზე“ იქნებიან წარმოდგენილნი.

თბილისელი დამკვირვებლები ბოლო 2 წლის განმავლობაში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში გაერო-ს პასიურობას აღნიშნავენ. ივლისის ბოლოს დაგეგმილი ჟენევის შეხვედრა ამ პროცესში „გაერო-ს ახალ მიზიდვას“ ნიშნავს. (იფრინდა)

## აუცილებელია პირდაპირი დიალოგი

„ჩვენ და აფხაზებმა ერთ სახელმწიფოში უნდა ვიცხოვროთ“ – უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა. მისი აზრით, აფხაზეთის საკითხი დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოსათვის და მის გადასაწყვეტად აუცილებელია პირდაპირი დიალოგი აფხაზურ მხარესთან.

მაჭავარიანმა თქვა, რომ „ყველა პირობა უნდა შეიქმნას აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით დარეგულირებისათვის, რადგან ომი სრული კატასტროფა იქნება საქართველოსათვის“.

გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ ბოლო დროს აფხაზეთში ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა – მათ შორის არიან ქართველებიც, აფხაზებიც და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებიც. (პრაიმ-ნიუსი)

# „საომარი მოქმედებების განახლება გამორიცხულია“

ორშაბათის რადიოინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა ტრადიციულად ეკონომიკის თემით დაიწყო. კერძოდ, იგი ბიუჯეტის შესრულებას და დასაქმების პრობლემას შეეხო.

როგორც ე.შევარდნაძემ აღნიშნა, რეფორმების მეორე ეტაპის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მოსახლეობის სოციალური დაცვის პრობლემის წინა პლანზე წამოწევაა. მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების უმთავრესი ქვაკუთხედი კი დასაქმებაა. მისი თქმით, დასაქმების შესახებ ახალი კანონის მიღება აქტუალური და დროულია დასაქმების რეგულირების მექანიზმის თვალსაზრისით, იგი წამყვან როლს კისრულობს შრომის ბაზრის რეგულირების პროცესში. საჭიროა მოქალაქეთა პროფორიენტაციის, თვითდასაქმების და მცირე ბიზნესის, ასევე იმ მეწარმეთა მხარდაჭერა, რომლებიც აღადგენენ და ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს. აღნიშნული კანონპროექტი შევა პარლამენტში, სადაც დაიხვეწება და ქვეყანას ექნება კარგი საფუძველი დასაქმების პრობლემის დადებითად გადასაწყვეტად.

ე.შევარდნაძე ზოგადად შეეხო რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ბ.ბერეზოვსკის ვიზიტს და აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს განხილული აქტიური და არაორდინალური წინადადებები საინტერესო და სასარგებლოა. მან ბ.ბერეზოვსკისა და ზ.ჟვანიას აფხაზეთში ვიზიტს წინგადადგმული ნაბიჯი უწოდა და დასძინა, რომ ამ მხრივ კონტაქტები კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. პრეზიდენტი დიდ იმედებს ამყარებს რუსეთის შუამავლობაზე. თუმცა, როგორც მან აღნიშნა, საჭიროა იმაზე ფიქრი, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ 28 მარტის სამიტის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში. „განსაკუთრებით პერსპექტიულია ქართულ-აფხაზური შეხვედრები. მან სისტემატიური ხასიათი უნდა მიიღოს, რაც შესაძლებელს გახდის ჩემი და ვლ.არძინბას შეხვედრას“ – განაცხადა ე.შევარდნაძემ. მისი თქმით, საომარი მოქმედებების განახლება გამორიცხულია. სისხლისღვრა არც ერთ მხარეს არ უნდა. რუსეთი ფლობს შერიგების ბერკეტებს და იგი უნდა გამოვიყენოთ.

რაც შეეხება იბატურინის ვიზიტს, პრეზიდენტმა იგი შეაფასა, როგორც სასარგებლო, რომლის დროსაც საკითხთა ფართო სპექტრი განიხილეს.

მადრიდის, ვაშინგტონისა და ნიუ-იორკის ვიზიტების კომენტარისაგან პრეზიდენტმა თავი შეიკავა, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ დიდი სახელმწიფოების დახმარების გარეშე საქართველო ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

„როგორც ჩანს, რუსეთში გარკვეულ ძალებს ხელს არ აძლევთ სტაბილურობა კავკასიის რეგიონში. ხალხთა დაახლოებას ხელი რომ შეუშალონ, ქვეყნების ლიდერები უნდა წაჰკიდონ ერთმანეთს“ – ასეთი კომენტარი გაუკეთა პრეზიდენტმა „ობშაია გაზეტა“-ში გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, რომელშიც, როგორც ე.შევარდნაძემ განაცხადა, საუბარია იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტი კავკასიის ლიდერობისაკენ ისწრაფვის. მისი თქმით, ეს მორიგი ცილისწამება პასუხის გარეშე არ უნდა დარჩეს.



თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის ვიზიტთან დაკავშირებით ე.შევარდნაძემ განაცხადა, რომ მიმდინარეობს სერიოზული მზადება. „საქართველოში კარგად იციან რა გადამწყვეტი როლი შეასრულა თურქეთის პრეზიდენტმა კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცებაში. გულწრფელად მიხარია ჩვენი დიდი მეზობლის სტუმრობა“ – დასძინა პრეზიდენტმა.

შეეხო რა უშიშროების მინისტრის შ.კვირაიას გადადგომას, ე.შევარდნაძემ აღნიშნა, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი შუალედური დასკვნის მიხედვით არ დასტურდება შ.კვირაიას პირადი მონაწილეობა სატელეფონო მოსმენების საქმეში. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სისტემაში ადგილი აქვს კონსტიტუციის დარღვევებს. მართალია, პირველადი დასკვნა წარმოდგენილია, მაგრამ გამოძიება გრძელდება. რეფორმები ამ სისტემაში საერთაშორისო დონეზე უნდა განხორციელდეს.

„ჩემთვის ძალიან ძვირფასია ონასისის პრემიის მონიჭება. მე მეამაყება იმ გამოჩენილ ადამიანთა გვერდით ყოფნა, ვისაც მიღებული აქვს ეს პრემია“ – განაცხადა ე.შევარდნაძემ. მისი თქმით, ეს არის საქართველოში დემოკრატიული რეფორმების, ეკონომიკური აღმავლობისა და რეგიონში სტაბილურობის დასტური. (იფრინდა)

## გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს ბ-ნ ნოდარ გრიგალაშვილს

ბატონო ნოდარ

„საქართველოში“ ჩემს დღიურებს („ხუთი მრისხანე წელი“) იმიტომ ვბეჭდავდი, რომ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ჩემს თანამებრძოლად მიმაჩნიხართ.

არ დაგიმალავთ, გამაოცა 5 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულმა პასკვილმა „მიშველაძე ცრუობს“. თემურ ქორიძე ერთადერთი კაცია საქართველოში, ვისაც საპასუხოდ თავს არ გავუყადრებ, რადგანაც მასთან კამათს ჩემი ღირსების შელახვად ვთვლი. რაკი ასეა, ვცდილობ (და მომავალში მითუმეტეს შევეცდები), ქორიძე ჩემს ნაწერებში არც კარგად მოვიხსენიო და არც ავად.

ჟურნალში, რომლის რედაქტორიც მე ვარ, არამც და არამც არ დაიბეჭდებოდა ასეთი ფრაზა: „ნ.გრიგალაშვილი უნიჭო მწერალი და პუბლიცისტია“. იმიტომ კი არა, თითქოს, მე დემოკრატი არ ვიყო, ან თქვენი მეშინოდეს, უფრო იმიტომ, რომ ეს იქნებოდა საზიზღარი სიცრუე. თქვენ კი აბედვინებთ ხელმოცარულ ლიტერატორს მკითხველს აუწყოს, რომ მე „პამფლეტებს ნოველებად ვასაღებ“. თუ საქართველოში ქორიძის გარდა მოიძებნება თუნდაც ერთი მკითხველი, რომელიც ამ აზრს გაიზიარებს, უარესის ღირსიც ვყოფილვარ, თუ არა და არაფერი საჩქარო იყო ჯერ დაუმთავრებელ პუბლიკაციაზე შურით ათრთოლებული ქორიძის ნაჩქარევი აზრის გამოქვეყნება.

ჩემს დღიურებში ჩემი პირადი და საქართველოს მძიმე, დრამატული დღეებია აღბეჭდილი. მე არავის ვმტრობ და არც სხვათა ნაწერების „განჩხრეკას“ ვცდილობ. ყველა და ყველაფერი მაინტერესებს მხოლოდ რუსის ტყვეობისგან დახსნისთვის ბრძოლის ჭრილში.

რაკი თქვენ ქორიძის ნაზრევის ერთ მისხალს მაინც იზიარებთ (სხვა შემთხვევაში არ დაბეჭდავდით), უმორჩილესად გთხოვთ, ნუღარ გააგრძელებთ ჩემი დღიურების ბეჭდვას. მე კვლავაც პატივისმცემელი დავრჩები თქვენი, რაკილა არაერთგზის აღვფრთოვანებულვარ ნ.გრიგალაშვილის მამულიშვილობით და გაბედულებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მე, მართლაც, არ მიგაჩნივართ უნიჭო პამფლეტისტად, გთხოვთ, თქვენი რედაქტორული დემოკრატიულობით მომავალში მაინც გულს ნუღარ მატკენთ.

პატივისცემით

**რევაზ მიშველაძე**

5.VII.97 წ.

*P.S. რაც შეეხება ხუთი წლის წინათ უნებლიედ ქორიძის „ვირთხად“ მოხსენიებას, რა თქმა უნდა, ნოველისტის პროფესიულ ლაფსუსად ვთვლი და ბოდიშის მოხდასაც ვაპირებდი, მაგრამ თქვენი გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილ ქორიძის პორტრეტს რომ შევავლე თვალი, გამეცინა და ბოდიშის მოხდაც სხვა დროისთვის გადავდე.*

**რ.მ.**

## ბატონ რევაზ მიშველაძეს

ბატონო რევაზ, მიუხედავად იმისა, რომ თ.ქორიძის წერილს ახლდა წინასიტყვა (იხ. „საქართველო“ №67), რომელშიც გარკვევით მქონდა დაფიქსირებული ჩემი პოზიცია და ჩანდა, რომ ავტორისა და რედაქტორის თქვენდამი დამოკიდებულება სხვადასხვა იყო, მიუხედავად იმისა, რომ წინასიტყვაში ვეცადე ამეხსნა, თუ რატომ შეიძლება დაბეჭდოს რედაქტორმა ზოგჯერ ისეთი მასალაც, რომლის დასტამბვა პიროვნულად იქნებ უჭირდეს კიდეც, თქვენ მაინც რედაქტორზეც დარჩით განაწყენებული, რაც იმით გამოიხატა, რომ ბრძანებთ: „უმორჩილესად გთხოვთ, ნუღარ გააგრძელებთ ჩემი დღიურების ბეჭდვას“-ო.

რა გაეწყობა, ვასრულებ თქვენს თხოვნას.

თუმცა, ვფიქრობ, რომ თქვენი წყენა არ იქნება ხანგრძლივი, ვინაიდან საჯაროდ გიცხადებთ, რომ თ.ქორიძისაგან განსხვავებით, არათუ უნიჭო პამფლეტისტად, არამედ თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეულ მწერლად და პუბლიცისტად მიმაჩნიხართ. ასევე თქვენ ბრძანდებით სამშობლოსათვის შეწირული ბიჭის მამა, რაც არ შეიძლება დიდი პატივისცემით არ მავსებდეს თქვენი პიროვნებისადმი.

თქმულიდან გამომდინარე, „საქართველოს“ რედაქციის კარი თქვენთვის კვლავაც ღიაა. ასე რომ, მართალი ვიყავი მაშინაც, როცა თქვენს ოპონენტს ხელები არ გავუკარი, პასუხის საშუალება მივეცი და მართალი ვარ დღესაც–

პატივისცემით

**ნოდარ გრიგალაშვილი**

## „დღეს საქართველოში შეუძლებელია უშიშროების მინისტრის პოსტზე ოპოზიციის წარმომადგენლის მოსვლა“

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ი.სარიშვილი-ჭანტურიამ სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში „სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე“ თავი შეიკავა უშიშროების მინისტრის სავარაუდო კანდიდატურის დასახელებაზე.

ედპ-ს ლიდერის აზრით, საქართველოს პრეზიდენტი მეორედ აღარ დაარღვევს ქვეყნის კონსტიტუციას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფინანსთა მინისტრის დანიშვნის დროს და უშიშროების მინისტრის დანიშვნისას მხოლოდ თავისი განკარგულებით არ მიიღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას. „თუ ე.შევარდნაძეს უშიშროების სამინისტროში ძირეული რეორგანიზაციის გატარება სურს, მან უნდა შეცვალოს „ძველი კომუნისტური“ მიდგომა ამ ძალისმიერი სტრუქტურისადმი“ – განაცხადა ი.სარიშვილი-ჭანტურიამ. კერძოდ, ედპ-ს ლიდერი თვლის, რომ პრეზიდენტმა 31 ივლისამდე ოფიციალურად უნდა დაასახელოს უშიშროების მინისტრის სავარაუდო კანდიდატურა და იგი პარლამენტს საგანგებო სესიაზე უნდა წარუდგინოს განსახილველად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი არ ისურვებს ძირეული რეორგანიზაციის ჩატარებას და მას მხოლოდ დაგეგმილი აქვს შ.კვირაიას ნაცვლად უწყების ხელმძღვანელად „მოვალეობის შემსრულებელი“ მინისტრი დანიშნოს, ე.შევარდნაძე თავის კანდიდატურას პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე გაიტანს.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა უშიშროების მინისტრის პოსტზე ოპოზიციური ძალის წარმომადგენლის მოსვლა, ი.სარიშვილი-ჭანტურიამ უპასუხა, რომ დღეისათვის საქართველოში ეს შეუძლებელია, თუმცა ედპ-ს ლიდერს ჰყავს ასეთი კანდიდატურა. (იფრინდა)

### „მოქალაქეთა კავშირი“ მხარს დაუჭერს უშიშროების მინისტრის პოსტზე ნებისმიერ კანდიდატურას...

„მოქალაქეთა კავშირის“ პრეს-მდივნის მეშვეობით, სააგენტოს კორესპონდენტისათვის ცნობილი გახდა პარტიის გენერალური მდივნის, მიხეილ მაჭავარიანის პოზიცია საქართველოს უშიშროების მინისტრის შესაძლო კანდიდატურის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით რესპონდენტს განუცხადეს, რომ უშიშროების მინისტრის პოსტზე სმკ-ს თავისი კანდიდატი არ ჰყავს. პარტია მთლიანად დაუჭერს მხარს პრეზიდენტის მიერ წამოყენებულ ნებისმიერ კანდიდატურას. ამასთან, სმკ-ს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ მისი თავმჯდომარე – ედუარდ შევარდნაძე ღირსეულ კანდიდატურას შეარჩევს.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, გააჩნია თუ არა სმკ-ს თავისი მოსაზრება დასახელებულ კანდიდატურებთან დაკავშირებით, მას განუცხადეს, რომ ასეთი მოსაზრება პარტიას არ გააჩნია და იგი მთლიანად ე.შევარდნაძეს ეყრდნობა. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მესაზღვრეები გერმანიასა და საფრანგეთში გაემგზავრნენ

გერმანიის სასაზღვრო სამსახურის მიწვევით გუშინ საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის ოფიცერთა ჯგუფი გერმანიაში გაემგზავრა. ოფიცერთა ჯგუფი გაეცნობა გერმანიის სანაპირო დაცვის სამსახურის საქმიანობას, საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე კონტროლის სისტემის განხორციელებას და სხვა სასაზღვრო საკითხებს.

8 ივლისს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიცერთა 4 კაციანი ჯგუფი, სასაზღვრო ელექტროსისტემების ტექნოლოგიის გაცნობის მიზნით, ერთკვირიანი ვიზიტით საფრანგეთს გაემგზავრება. (იფრინდა)

## „საგადასახადო კოდექსი ჩვენი ეკონომიკური ბიბლიაა“

საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე 75 კანონსა და 3 კოდექსს შორის მიღებულ საგადასახადო კოდექსს, მიუხედავად იმისა, რომ მისმა რამდენიმე მუხლმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის უკმაყოფილება გამოიწვია, „ყველაზე მნიშვნელოვნად“ მიიჩნევს საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ონოფრიშვილმა აღნიშნულ კოდექსს „ჩვენი ეკონომიკური ბიბლია“ უწოდა, რომელიც, მისი თქმით, არცერთი ქვეყნის კოდექსს არ ჩამოუვარდება.

ივნისის შუა რიცხვებში საგადასახადო კოდექსის მიღებისთანავე, საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა შადმან ვალავიმ წერილი გაუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას, რომელშიც აფრთხილებდა, რომ თუ კოდექსში არ შევა მთელი რიგი შეღავათების გამაუქმებელი ცვლილებები, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება საქართველოს სტრუქტურული რეფორმირებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტის მორიგი ტრანშის გამოყოფა.

ცოტა ხნის წინ დავით ონოფრიშვილმა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში თქვა, რომ ალბათ შემოდგომაზე გადაიხედება კოდექსის ზოგიერთი მუხლი, რომელიც დამატებითი ღირებულებისა და მოგების გადასახადებისაგან ათავისუფლებს რიგ ორგანიზაციებს. (პრაიმ-ნიუსი)

## „ოქროს აკვანი“

24 ივლისიდან 3 აგვისტომდე ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება ყოველწლიური პროგრამა საქართველოს ახალგაზრდობის დღეები – „ოქროს აკვანი“.

პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მხარეების ახალგაზრდობის შეხვედრას, დისკუსიას აქტუალურ და ანალიტიკურ საკითხებზე. დაგეგმილია გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება.

პროგრამა შემუშავებულია საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე და მისი ორგანიზატორია საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი. (იფრინდა)

# ჩემს ასაკში ყურის აწევით აღარ სჯიან...

დაგამცირებენ, მიწასთან გაგასწორებენ, ულუკმაპუროდ დაგტოვებენ და კიდევ ყურს აგიწევენ. სხვანაირად არ შეიძლება აღიქვა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის პრეს-სამსახურის „გამოხმაურება“ გაზეთ „საქართველოში“ (1997, №66, 3–5 ივლისი, გვ4) ჩემს პუბლიკაციაზე – „აკადემიკოს გურამ თევზაძის ბიუროკრატიული ფენომენი“, რომელიც იმავე გაზეთში დაიბეჭდა (1997, 16 ივნისი).

აკად. გ.თევზაძის მეცნიერულ დამსახურებას, ფილოსოფიურ მეცნიერებაში გაწეულ ღვაწლს, რაც უდავოა, მე არ შევეხებივარ, არც ზოგადად მისი პიროვნების განქიქება განმიზრახავს. მხოლოდ აღვწერე ერთი კონკრეტული ფაქტი, ქმედება ქვეყნის მმართველი პარტიის, მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი მესვეურისა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სახელმწიფო მოხელედ – საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელად მოგვევლინა. რა გარდატეხა შეიტანა მან ამ დაწესებულების მუშაობაში, იქნებ პრესის საშუალებით მოახსენოს საზოგადოებას; და ჩემი გასრესვის ცდა კერძო შემთხვევად დარჩეს. აქვე შეგახსენებთ, რომ მე პროფესორი არ გახლავართ და ამ წოდებით ნუ მომიხსენებთ, ისედაც მეყოფა უსინდისოთაგან ჯიჯგნა, საბაბილა უნდათ...

ახლა საქმეზე: აკად. გ.თევზაძემ აკადემიაში ჩაშალა ე.წ. „გრანტების“ ნორმალურად განაწილების პროცესი. მმართველი პარტიის პრეს-სამსახური სწორედ ამ და სხვა ანომალიებით უნდა დაინტერესებულიყო, მაგრამ, ეტყობა, ზოგიერთს რიყეში ისე შეუძლია გაიაროს, ქვა არ დაინახოს. ჩემმა თავგანწირულმა საგაზეთო გამოსვლამ, გ.თევზაძის დაცვის გარდა, არაფერზე ჩაგაფიქრათ?!

სამწუხაროა, ძლიერ სამწუხაროა. თქვენ იცავთ იმ კაცის მუნდირის ღირსებას, რომელმაც რატომ მოირგო ეს მუნდირი, აკადემიის ე.წ. „ჰუმანიტარებს“ ვერაფრით ვერ გაგვეგია ბ-ნ გ.თევზაძის მოსვლით ჩვენთან არაფერი არ შეცვლილა ისევ და ისევ იმ ნეტარხსენებული საბჭოთა კავშირის დონეზე ვართ გაყინული. იქნებ ყველაფრის შეგუებაა საჭირო და ამ ხნის კაცი ვცდები?! ის ავადსახსენებელი გრანტები რომ არა, ჭაობიდან თავს არ ამოვყოფდი, მაგრამ მეტისმეტი მიყვეს, უსამართლობით გამამწარეს, თან პასუხიც არ მაღირსეს. გეთანხმებით, მაინც გაჩუმება, მოთმინება სჯობდა, მითუმეტეს, სამართალს ამ ქვეყნად სად იპოვი?! იქნებ პარლამენტარ ელენე თევდორაძეს ცოტა ხანს ციხეებისათვის თავი გაენებებინა და ჩვენთან, აკადემიაში გამოგვეზახენათ, გაეგოთ რა დღეშია რიგითი მეცნიერ-მუშაკი, არა მარტო ნივთიერად, არამედ უფრო მეტად, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვალთახედვით. მეცნიერების „საშუალო ფენას“ პლუტოკრატია გვახრჩობს და ეს, უმაღლესმა ელიტამ თუ არა, მმართველი პარტიის პრეს-სამსახურმა მაინც როგორმე უნდა გაიაზროს და გააანალიზოს.

ბ-ნ გ.თევზაძემ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით, თუ როგორ გააუკუღმართა გრანტების განაწილება, კანონშემოქმედება არამეცნიერულ საქმედ გამოაცხადა, სამაგიეროდ თემატიკის რაღაც აჯაფსანდალი დააკანონა, დაუკომპლექტებელ სამეცნიერო საბჭოებს მიანდო ადამიანების ბედი და ა.შ. ყოველივე ამაზე გაცილებით ვრცლად, დასაბუთებულად შემიძლია საუბარი, მაგრამ დროა რედაქტორს ანგარიში გავუწიო და წერტილი დავსვა. თუმცა ერთი წუთით: ვიზიარებ რა რესპუბლიკის პრეზიდენტის აუცილებელ და გონიერულ წამოწყებას საყოველთაო შერიგების შესახებ, სიამოვნებით შევურიგდები ბატონ გურამ თევზაძეს, ოღონდ ან პირადად, ან გაზეთის მეშვეობით, ან მოქალაქეთა კავშირის პრეს-სამსახურის შესაძლებლობებით გამაგებინოს, რატომ დაგვტოვა უგრანტოდ შემდეგი სამი თემის (ჩემი – „საქართველოში მიმდინარე აგრარული რეფორმის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საფუძვლები“, ავტორთა კოლექტივი – „ეთნოსოციალური პროცესების რეგიონალური კვლევა და პროგნოზირება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით“, „შავი ზღვის როლი საქართველოს ისტორიაში“ – პროფ. თ.ბერაძე, საგანგებო დაკვეთა სასაზღვრო დეპარტამენტისა) შემსრულებლები?! რატომ აქციეს არარაობად გრანტების განაწილების თავისავე ინსტრუქციის მეორე მუხლი, სადაც თემატიკის აქტუალობაზეა უპირატესობა მინიჭებული?!

ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დაუკომპლექტებელი სამეცნიერო საბჭოს საეჭვო კენჭისყრა რად გახდეს ჭეშმარიტების წყაროსთვლად?!

დროულ საჩივარზე არავითარი რეაგირება. შემდეგ კი ცინიკური პასუხი – დაგვიანდა, გრანტები განაწილებულია, აკადემიის სალაროში მხოლოდ 8 ლარიღა დარჩა, აქედან მორალი: კედელს თავი ახალეთ და შიმშილით დაიხოცეთო!

ყოველივე ამის ორგანიზატორად და სულისჩამდგმელად აკადემიკოსი გურამ თევზაძე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი და ისტორის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი მოგვევლინენ, აფერუმ მათ ვაჟკაცობას!

**ლევან ფრუიძე**

1997 წლის 6 ივლისი, ქ.თბილისი

# მე და კგბ

## ვახტანგ გოგუაძე

ვარ თუ არა მომხრე, გაიხსნას საბჭოთა კგბ-ს აგენტების სია?

– არა, არა ვარ თანახმა. თუ რატომ, ქვემორე მოგახსენებთ, მანამდე იქვიანეთ ფერად-ფერადი ეჭვებით...

სუკი ვერ ცვლის იმ მრისხანე აბრევიატურას, კგბ რომ ჰქვია.

* * *

29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ, სექტემბრის ბოლოს ქუთაისში გახლდით. ბ-ნი თემურ შაშიაშვილის კაბინეტში ხუთიოდ კაცი ვიქნებოდით. ერთი მათგანი განსაკუთრებით დიდი.

– წარმოგიდგენიათ, ჩემს ტელეფონს ისმენდა თურმე გიორგაძე – ამბობს ის კაცი.

– მეც მითხრეს, ბატონო ედუარდ, შენც გისმენდაო. გამიკვირდა, – რატომ მომისმენდა, მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა-თქო.

ბატონ ედუარდს გულიანად გაეცინა. გვიან მივხვდი ამ გაცინების ფილოსოფიას... ე.ი. კგბ-მ არ იცის კარგი თუ ცუდი ურთიერთობა. მას თავისი სამყარო აქვსო. ამას ნიშნავდა ალბათ ის გაცინება. არც კვირაიასაგან გამკვირვებია, მით უმეტეს, არც ჩვენ გვქონდა ცუდი ურთიერთობა, მაგრამ რას იზამ, ხელობააო, ეტყობა, ეგეთი.

* * *

1992 წელს, სახელმწიფო საბჭოს ჰქონდა მეტად ორიგინალური ფილოსოფია უშიშროების საშიშროების მიმართ. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები მოითხოვდნენ ეროვნული შპიონები, აგენტები, ლამის საბჭოზე დაგვემტკიცებინა. ზოგი ამბობდა: აგენტი უნდა იყოს გულწრფელი, კეთილი, გულახდილი, ერთი სიტყვით, უკეთეს რომ ვერ ინატრებ ისეთიო.

მაგონდება გიზო ნიშნიანიძის ნაამბობი. იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ უშიშროების ხაზით იხმეს და გადაუშალეს ფიანდაზი პერსპექტივები. უნდა გაგესაუბროთო.

გიზომ ბავშვივით წინასწარ გამოხატა მადლობა და მოემზადა პირნათელ კითხვებზე პირნათელი პასუხებისათვის.

– ახალგაზრდა, საიდუმლოების შენახვა ხომ შეგიძლიათ?

– იცით რა, მე პოეტი კაცი ვარ და ერთი სული მაქვს, ვიდრე ჩემს მეგობრებს საინტერესო ამბებსა და საიდუმლოებებს მოვუყვებოდე...

– აჰა... წერეთ, წერეთ ლექსები, კარგად ბრძანდებოდეთ!

დავით აღმაშენებელი გულთმისანი ეგონათ. უწყოდა ყოველი, რა ხდებოდა ამ ცოდვილ ქვეყანაზე. მსტოვრების დიდი ქსელი, სახელმწიფო სისტემა ჰქონდა „გულახდილი“ ჯაშუშებისა. ჯერ არ შექმნილა თეთრხელთათმანიანი სახელმწიფო. „Политика, Шалва Исакович, грязное дело“ – უთქვამს სტალინს შალვა ნუცუბიძისათვის. როგორც ჩანს, მართალი იყო სტალინი. აბა როგორ, უშიშროება გინდათ საშიშროების გარეშე? სატელეფონო მოსმენასაც უნდა ელოდეთ და სხვა უბედურებასაც. ოღონდ ამ მოსმენა-დასმენასაც თავისი წესი აქვს. თან ჭკუაც არ აწყენს მაგ საქმეს. რა იმედი უნდა გქონდეს იმ უწყებისა, მწერლებს რომ უსმენს, პირზე რომ არაფერი დაადგებათ. ჩვენ რასაც ვბეჭდავთ, იმაზე უარესს არცა ვფიქრობთ და არცა ვლაპარაკობთ. რაზე ხარჯავდით იმ ფირს? არ ჯობდა, მაგ ფირზე „წინწყარო“ ჩაგეწერათ?

* * *

1977 წელს დაიჭირეს ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ჰელსინკის კავშირის წევრები. ერთი მათგანი, უნივერსიტეტის ჩემი თანაჯგუფელი, უახლოესი მეგობარი, უზომოდ წიგნიერი, ახლა უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ბეგო ბეჟუაშვილი რიგში დგას. საშინელი ვითარებაა. ჩემთან მოდის უნივერსიტეტის პროფკომის თავმჯდომარე მარლენ შენგელია. გამიხმო გვერდზე. ფერი არ ადევს კარგი; სუნთქვამოხშირებით მიყვება, – კგბ-დან იყვნენ, პროკლამაციებია გავრცელებული და ძალიან გამწარებული არიან. უთხარი ბეგოს, მოეშვას ყველაფერს. ორი პატარა ბავშვი რომ ჰყავს, ჯერჯერობით მაგის გამო ვიკავებთო თავს, თუ ჭკუით არ იქნება, უეჭველად ავიყვანთო. გავექანე ბეგოსკენ. უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, ესთეტიკის კაბინეტის წინ, ბეგოს ვუყვები, ცხადია, არამშვიდი თხრობით. – ვახო, თუ რამე ვიცოდე მაგ პროკლამაციებზემე ვაწყვეტინებ, – ბეგო, მე რას მეფიცები, რად მინდა, *მე აქედან იქით კი არ მიმაქვს ამბავი, იქიდან აქეთ მომაქვს*, არ გაეკარო, თუ ძმა ხარ, არაფერს...

1982 წლის ზაფხულია. ფოთის საზღვაო სადგურის რესტორანში მეგობრებთან, სხვადასხვასთან ერთად არიან სამართალდამრღვევი ორგანოს წარმომადგენლები. ეს იყო დათობობის ეპოქა კგბ-ს ისტორიაში. როცა კგბ-ს მუშაკები თვითონ ლაღობდნენ გადაკრული ანტი-ანტი ანეკდოტებით. ბევრი რამ მართლა შეიცვალა ბოლო პერიოდში. მეც მოვყევი ბეგოს ამბავი – ანუ „იქედან აქეთ“. ბევრი ვიცინეთ. კგბ-ს უფროსის მოადგილე რაღაც ამბავს ჰყვება, რაზეც კარგად მოერგო ნათქვამი და გაიმეორა – მე აქედან იქეთ კი არ მიმაქვს ამბავი... მისმა უფროსმა გადმოსძახა, – იურა, დაკარგავ შენ მაგ ოთხასორმოცდაათ მანეთიან ხელფასს! ბარაქიანმა სიცილმა იხსნა მოზრდილი ხელფასი.

სპიკერობისას თანაშემწედ ავიყვანე ერთი კოლორიტული თბილისელი. ქართულს ამტვრევს, თუმც არს რუსულს უკეთებს კარგ მასაჟებს. ინგლისურს არა უშავს-რა. მუშაობდა ცეკაში, შემდეგ ზვიად გამსახურდიას რეფერენტად უცხოეთთან ურთიერთობის დარგში. ხშირად ჩამომიგდებდა ლაპარაკს ალექსი ნიკოლაევიჩზე, – როგორც შვილი, ისე ვუყვარდი. მე კგბ- არა, ხშირად იმეორებდა. ვერანაირი რეაგირება ვერ იგრძნო ჩემგან. 1993 წლის იანვარში გერმანიაში ვართ. ჩვენთან არიან გოგი ხარაბაძე, დემურ ცქიტიშვილი და სხვები. გენშერს უნდა შევხვდეთ. თანაშემწეს ვეუბნები, – შენ რაღაც დაბნეული ხარ, ან ვიდეოკამერა დაგავიწყდება ან კასეტა. – არა, ბატონო ვახტანგი, მე არასდროს მავიწყდება. ჩავედით ბონში. გერმანელ მძღოლებს ქალაქის შესასვლელის გზა აებნათ, დავაგვიანეთ და ვანერვიულეთ ბატონი გენშერი. ბუნდესტაგის წინ გველოდებოდნენ მისი წარმომადგენლები. უცბად თანაშემწე მეუბნება, – ბატონო ვახტანგ, კასეტა არ არის (როცა უკვე შევედით გენშერთან). ჩუმად მწარედ ჩავულაპარაკე – გენშერმა ხომ არ მოგპარა, თუ იცი?. მართლა დაუწყო ხელებში ცქერა.

საღამოს შინაურულ ვახშამზე ვართ (საარბრიუკენში). თანაშემწეს კიდევ დაებნა რაღაცა. – მე, ბატონო ვახტანგი, კგბ – არა, კგბ- არა. მართლა გაბრაზებული ვიყავი. ბიჭო, შენ კგბ რომ მეგონე, იმიტომ აგიყვანე თანამშრომლად, ვიფიქრე, რაღაცა შეეძლება-თქო. ამის მეტი თუ არაფერი იყავი, თქვენი მეშინოდა, თქვენი კეთილებიც...

გოგი ხარაბაძე ჩაბჟირდა. კარგად აფორმებს ამ...ნატურალურ შემთხვევასაც.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩემს წერილზე გამოხმაურებებს შორის, მყვირალა დილეტანტიზმის მაგალითს მმაცაბერიძისა და ვმესხიას „ასავალ-დასავალში" და „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული სტატია წარმოადგენს. ავტორთა ინტელექტუალური და პროფესიული დონით თუ ვიმსჯელებთ, ისინი კომერციული უმაღლესის I-II კურსის სტუდენტები ანდა ახლანდელი მთავრობის წევრები უნდა იყვნენ. მაგრამ, ვინაიდან მინისტრებს შორის ასეთი გვარები არ შემხვედრია, შემოკლებით მე მათ „სტუდენტებს" ვუწოდებ. არ ვიცი, სტატიის დაწერა მათთვის „საშინაო დავალება" იყო თუ თვითონ მოისურვეს, მაგრამ ავტორთა ანგაჟირება და არაკეთილსინდისიერება სახეზეა. არ მახსოვს შემთხვევა, რომ სხვისი სტატიის ანალიზის დროს ოპონენტმა ასე უხეშად, უცერემონიოდ კონტექსტიდან ესა თუ ის სიტყვა ამოგლიჯოს, წინადადებები გახლიჩოს, საავტორო ტექსტის ისეთი თავისუფალი ინტერპრეტირება მოახდინოს, როგორც ამას „სტუდენტები" აკეთებენ. სტატია, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლების პოზიციას გამოხატავს, მაგრამ ვინაიდან ხელისუფლების პოზიციას საქართველოში მხოლოდ თვით ხელისუფლება იზიარებს, მასზე პასუხის გაცემა არც ღირს. შევნიშნავ მხოლოდ იმას, რომ „სტუდენტთა" განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ჩემმა წინადადებამ ქვეყნის ხელმძღვანელთა თავიანთ საქმიანობაზე პირადი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მიღების თაობაზე. შეგახსენებთ: წინადადების არსი იმაშია, რომ მორიგი არჩევნების დროს საარჩევნო ბიულეტენებში შეტანილ იქნეს კითხვა პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის გასულ პერიოდში საქმიანობის შეფასების შესახებ. თუ ამომრჩეველთა ორი მესამედი მათ საქმიანობას უარყოფითად, როგორც საზიანოს და დანაშაულებრივს შეაფასებს, მაშინ ყველა ეს მოღვაწე დაპატიმრებულ უნდა იქნეს იმავე ვადით, რა ვადითაც ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ, ქონების კონფისკაციით. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ამ გზით ხალხის ხელისუფლება ანუ დემოკრატია უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს, სხვა შემთხვევაში ხალხი კვლავაც იქნება მოტყუების, კორუფციისა და ღალატის მსხვერპლი. „სტუდენტთა" რეაქცია ფრიად დამახასიათებელი და ტიპიურია თანამედროვე „დემოკრატიული" ბიუროკრატიისათვის: იტყვი რამეს პასუხისმგებლობაზე – ისინი უკვე ტოტალიტარიზმის შეტევაზე ჰყვირიან, მოუწოდებ წესრიგისაკენ – ჰყვირიან სტალინიზმზე. იტყვი, რომ დასავლეთი სრულიადაც არ არის „კეთილი ძია" – დაგაბრალებენ იზოლაციონიზმს ან „პრორუსულ ორიენტაციას". სხვათაშორის, ჩემთვის „პრორუსული ორიენტაციის" მიკერების სურვილითაა გამსჭვალული ჩემს სტატიაზე თითქმის ყველა გამოხმაურება. განსაკუთრებული მონდომებით გამოირჩევა „ქართლის ბედი"-ს რედაქტორი გ.თევლავაძე, რომელმაც თავისი გაზეთის თითქმის მთელი ნომერი ჩემს „გამოაშკარავებას" მიუძღვნა. გ.თევლავაძე მთელის ქართულ პოლიტიკაში „მეტად საშიშ" პიროვნებად, რომელსაც „ხალხში მაღალი ავტორიტეტი აქვს", მაგრამ „ქვეყნისათვის სასიკეთო მიზნები არ გააჩნია". მიწოდა რა „ახალი ტიპის ჯუღაშვილი" (მისი აზრით, ეს შეურაცხყოფა უნდა იყოს), თევლავაძემ მოულოდნელად დაასკვნა, რომ „ჭაჭია და შევარდნაძე ერთი ურდოს მსახურნი არიან". ამასთანავე საკუთარ თავს თევლავაძე, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტ პატრიოტად, ოპოზიციონერად, ახლანდელი რეჟიმის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ თვლის. მე არ ვაპირებ თევლავაძესთან დისკუსიას (ძნელია პოლიტიკურ თემებზე ბავშვურ ტიტინს რამე დაუპირისპირო), მაგრამ ერთი რამ კი მინდა შევეკითხო: რატომ „ოპოზიციონერ" და „პატრიოტ" თევლავაძეს ხელისუფლება არ უშლის საქართველოში არა მხოლოდ ცხოვრებასა და მუშაობას, არამედ 8-გვერდიანი „ოპოზიციური" გაზეთის გამოშვებასაც კი, ხოლო ჭაჭია იძულებული გახდეს ღამე მეგობრების მეშვეობით, სპეცსამსახურთა მიერ ბლოკირებული სახლიდან გაქცეულიყო, სამშობლო დაეტოვებინა და წელიწადნახევრის განმავლობაში მხოლოდ ფარულად უწევს იქ ჩასვლა და ისიც არა თბილისში, ვინაიდან გაფრთხილებულია, რომ ჩამოსვლისთანავე მის ჯიბეში ხელყუმბარას „აღმოაჩენენ", მანქანაში – ავტომატს, ხოლო ბინაში – დინამიტს ან ნარკოტიკებს (მართალია, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი არა ვარ, მაგრამ პრეზიდენტზე „ისტორიული" თავდასხმის მონაწილეთა გაუთავებელ სიაში მოხვედრის შანსი მაინც, ეტყობა, დავიმსახურე). თუ თევლავაძეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდება, მე მას დავეხმარები: მისი „ოპოზიციური" საქმიანობა ისევე, როგორც საქართველოს ათეულობით პოლიტიკური პარტიისა, ახლანდელ რეჟიმისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, მეტიც, ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებისათვის საჭირო ფონსაც კი ქმნის. საქართველოში ასეთი „ოპოზიცია" რომც არ ყოფილიყო, რეჟიმი მას შექმნიდა.

დასაწყ. „საქართველო" №66, 67

• პასუხი ოპონენტებს

# რანი ვიქნებით?

## ალექსანდრე ჭაჭია



„ეროვნული მოძრაობის" გადაგვარებული ნაწილი ნებით თუ უნებლიეთ დღეს სახელისუფლებო ელიტის მთავარ მხარდამჭერად იქცა. ეს მკაფიოდ გამოვლინდა პრეზიდენტის არჩევნებისას, როცა მისმა ერთმა ნაწილმა არჩევნებს „ბოიკოტი" გამოუცხადა, ხოლო მეორემ პრეზიდენტობის კანდიდატად აბაქრაძე დაასახელა. ედუარდ შევარდნაძისათვის უკეთესი საჩუქრის გაკეთებას ვერავინ შესძლებდა! ტყუილად კი არ გადმოიცემოდა საქართველოს ტელევიზიით დღეში რამოდენიმეჯერ, რომ „ეროვნული ძალები" არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენო. და დღეს, როცა მე ახლანდელი ხელისუფლების კრიტიკა მესმის ამ „პრინციპული" ძალების წარმომადგენლებისაგან, მეცინება: ეს ხომ თქვენი ხელისუფლებაა, თქვენ გააკეთეთ ყველაფერი მისი გამარჯვებისათვის, თქვენ აჩუქეთ მას საკუთარ ხალხზე ექსპერიმენტთა ჩატარების კიდევ 5 წელი. ამ ხელისუფლების მთავარ საყრდენს, მთავარ საშუალებას ერის საწინააღმდეგო მიზნების განხორციელებაში თქვენ წარმოადგენთ. ამიტომ ძალიან მიკვირს, გ.თევლავაძის სტატია „საქართველოს რესპუბლიკამ" როგორ არ გადმობეჭდა. რა გააკეთეთ თქვენ ამ ბოლო 5 წლის განმავლობაში „საბჭოთა იმპერიაზე", „სტალინის დანაშაულებებზე", „სუკის ხრიკებზე", „ოკუპანტ რუსებზე" და „ქართველ გამყიდველ კომუნისტებზე" უაზრო ლაყბობის გარდა? რა შესთავაზეთ ხალხს ეკონომიკაში, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, სოციალურ სფეროში, გარდა ცარიელი ლაპარაკისა. იმის შესახებ, რომ სსრკ ბოროტების იმპერიააო, გეგმიანი ეკონომიკა ცუდიაო, საბაზრო – კარგი და ბოლოს, საქართველო შვეიცარიად უნდა იქცესო. ამას შევარდნაძე და ლეკიშვილიც ქადაგებენ. თქვენი ოცნებების მწვერვალია რუსის ჩექმა ნატოს (თურქის) ჩექმით შეცვალოთ. თქვენ ახლანდელი ხელისუფლების ბუნება, მის მიერ ქვეყნის ნგრევისა და ერის გადაშენების მექანიზმიც კი ვერ გაიგეთ. საქართველოს კატასტროფიდან გამოსვლის ერთი შანსი ჰქონდა – 1995 წლის არჩევნები და თქვენ მათში მონაწილეობაც კი არ მიიღეთ. არჩევნების შემდეგ პატიოსანი ხალხი მასიური ფალსიფიკაციით აღშფოთებული იყო, თქვენ კი სდუმდით: „რა თქმა უნდა, თქვენ ეს არ გეხებოდათ, თქვენ ხომ „ბოიკოტი" გამოაცხადეთ! აბა, ერის გადაშენება, ქართული სახელმწიფოებრიობის განადგურება თუ გეხებათ?! სიმპტომატიურია, რომ გ.თევლავაძის მიერ შედგენილ იმ მოღვაწეთა სიას, რომელზეც, მისი აზრით, ორიენტირებული უნდა იყოს ქართველი ხალხი, სათავეში აბაქრაძე უდგას...

სერიოზული გეოპოლიტიკური ანალიზია მოცემული ბატონ ნ.ნათაძის სტატიაში, მაგრამ სამწუხაროდ, ეს სტატია გამოხატავს მსოფლიო პოლიტიკის არა იმ რეალურ ტენდენციებს, რომლებიც გამოაშკარავდა ბოლო 2 წლის განმავლობაში, არამედ თვით ავტორის ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას. რწმენასთან მიახლოებულ თვითდარწმუნების შესახებ დისკუსია კი, როგორც წესი, უნაყოფო მეცადინეობაა. ძნელია იკამათო, როცა ფაქტები მოგყავს, შენ კი გპასუხობენ – არ მჯერაო (ერთხელ ა.ინაურმა ცეკას პირველ მდივანს ე.შევარდნაძეს უჩვენა ფოტოსურათები, რომლებიც ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირის ჰომოსექსუალურ ორიენტაციაზე მოწმობდნენ, რაზედაც ე.შევარდნაძემ უპასუხა: არ მჯერაო. გაკვირვებული ინაური შემდგომ ამბობდა: „მე მას სურათები, ის კი – არ მჯერაო!") ნ.ნათაძის წერილის სხვა თავისებურება დამახასიათებელია ქართველი პოლიტიკოსებისათვის. მაგალითად, მე ვწერ თურქულ საფრთხეზე, ნ.ნათაძე კი მეკითხება – რუსეთი არ არის საშიში? მე ვწერ, რომ თურქებს ან სპარსებს შეუძლიათ ტერიტორია წაგვართვან, ნ.ნათაძე პასუხობს: რუსებმა არ წაგვართვესო? წაგვართვეს, ბატონო ნოდარ, და თუ საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკა არ შეიცვლება, კიდევ წაგვართმევენ, ყოველ შემთხვევაში, სხვა ქვეყნებს ხელს არ შეუშლიან. მაგრამ მე განა რუსეთზე ვწერ? საქართველოში რუსეთზე საკმაოდაა დაწერილი, მათ შორის სიმართლეც და ქართველი ხალხი ამ საკითხში საკმაოდ ინფორმირებულია. ჩემი სტატია კი სხვა საფრთხეს ეხება, რომელსაც ანტირუსული რიტორიკით განზრახ დაკავებული საზოგადოება სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს. ამავე დროს არ შემიძლია დავეთანხმო ბატონ ნ.ნათაძის დებულებას იმის შესახებ, რომ ეთნოციდის მსოფლიო პრაქტიკის მწვერვალს (ჰიტლერის პრაქტიკასთანაც კი შეუდარებელს) თურმე ქართველი ხალხის მიმართ ეთნოციდის რუსული (საბჭოთა) მეთოდი წარმოადგენს. მაგალითის მოსაყვანად შორს წასვლა არაა საჭირო. აღვნიშნავ მხოლოდ მეზობელ ქვეყანაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის პრაქტიკას. სომეხთა პრობლემა ისე „გადაწყვიტეს", რომ 1,5 მილიონი სომეხი ერთბაშად ამოხოცეს (თალაათფაშას ბრძანებიდან: „მთავრობამ გადაწყვიტა, თურქეთში მცხოვრები ყველა სომხის სრული განადგურება ქალების, ბავშვების თუ ავადმყოფების ჩათვლით. როგორი ტრაგიკულიც არ უნდა იყოს განადგურების მეთოდი, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ბოლო მოუღეთ მათ არსებობას"). ქართველებს კი რაც შეეხება, თქვენთვის ცნობილია, რომ მათი არა მხოლოდ დედაენა, ეროვნული სკოლა, ლიტერატურა და კულტურა არ გააჩნიათ, არამედ ქართული გვარის ტარების უფლებაც კი არა აქვთ. ამავე დროს ქართველი პროფესორი ნათაძე ქართულ უნივერსიტეტში, ქართულ ენაზე უკვე 40 წელია ქართველ სტუდენტებს ქართულ ფილოლოგიაში ლექციებს უკითხავს...

ბატონმა ნ.ნათაძემ კატეგორიულად არ მიიღო აშშ-ს მიერ ევრაზიული პრობლემების განვითარებისაგან შესაძლო დისტანცირების ჩემი ვარაუდი. იგი ამ ვარიანტს შეუძლებლად თვლის. მგონია, რომ ამ ვარიანტის შესაძლებლობაში ოპონენტი თვით დარწმუნდება, თუ წაიკითხავს „ნიუსუიკის" იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ჰ.კისინჯერის სტატიას და აგრეთვე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლოდროინდელ მოხსენებას გაეცნობა, რომლის ერთ-ერთი თავი სხვა არაფერს წარმოადგენს, თუ არა განახლებულ „მონროს დოქტრინა", მაგრამ ამერიკული კონტინენტის ფარგლებში.

ნ.ნათაძის წერილის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მან ნათლად და მკაფიოდ გამოხატა ჩემი ოპონენტების პოლემიკური შენიშვნების კვინტესენცია: „დასავლეთის ქვეყნებს ანუ ევროპისა და ამერიკის განვითარებულ და ზეგანვითარებულ ქვეყნებს ჩვენს ქვეყანასთან საერთო აქვთ რელიგია, მნიშვნელოვანწილად – კულტურა ამ სიტყვის ფართო აზრით, სულიერი და გონებრივი წყობა (ანუ მენტალიტეტი) და ისტორიული ტრადიცია". აი, ეს მთავარი თეზისი, რომელიც ქართული პოლიტიკური ელიტის კრედოს წარმოადგენს, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და ამიტომ მე შევეცდები ის უფრო დაწვრილებით განვიხილო.

როცა ბატონი ნ.ნათაძე ჩვენთვის და დასავლეთის ქვეყნებისათვის საერთო რელიგიაზე ლაპარაკობს, გულისხმობს, რა თქმა უნდა, ქრისტიანობას, როგორც ერთ-ერთ მსოფლიო რელიგიას. გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოსახლეობა და თვით ქართველებიც კი მარტო ქრისტიანები როდია. ვიმსჯელოთ უფრო მნიშვნელოვანზე. რელიგია ხალხთა ერთობის ფაქტორი შეიძლება იყოს არა იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე ღმერთის, მესიის რწმენასა ან ერთი და იგივე წმინდა წიგნების თაყვანისმცემლობას გულისხმობს. ქრისტიანები და იუდევები ძველ აღთქმას ერთნაირად პატივს სცემენ, მაგრამ მათ შორის უფრო მეტია შეურიგებელი წინააღმდეგობა, ვიდრე ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის (თუ მუსლიმანები ქრისტეს, როგორც ერთ-ერთ წინასწარმეტყველს [illegible] იუდეველები მას და წმინდა ღვთისმშობელს [illegible] მე, როგორც მართლმადიდებელი, [illegible] არ შემიძლია). საქმე იმაშია, რომ ძველი აღთქმა პირველყოფილი საფასეულო ორიენტაციათა ფილოსოფიაა, იმ მსოფლმხედველობის, ფსიქოლოგიისა და ეთიკის გამოხატულება გახლავთ, რომელიც საკაცობრიო ცივილიზაციის ფორმირების საწყისი, სასტიკი პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. „ახალი აღთქმა" კი ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, კოლექტივიზმისა და პატიების ფილოსოფიას წარმოადგენს და ზუსტად ამის გამო მასში ჩამოყალიბებული სულიერი ფასეულობები ქრისტიანობის ზნეობრივი კოდექსი გახდა. მაგრამ მხოლოდ ახალი აღთქმის ფილოსოფიის უზენაეს ფასეულობად აღიარებაც კი არ შეიძლება გახდეს ხალხთა ერთიანობის ფაქტორი. ქრისტიანობის მიღებისას მისი დოგმების სხვადასხვა ერების ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან შერწყმა ხდებოდა. მისი საფასეულო ნორმატივები ერთიანდებოდა, ე.ი. ქრისტიანული მოძღვრება ამა თუ იმ ხალხის ეროვნულ თავისებურებას, აზროვნების სტილს, მენტალიტეტის სპეციფიკას შეერწყმებოდა და ამის გამო სხვადასხვა ერებს (ან ერთა ჯგუფებს) საბოლოოდ ჩამოყალიბებული აქვთ ქრისტიანული ნორმატივების აღთქმისა და რეალიზაციის სხვადასხვა ტიპი. ეს გახლავთ ქრისტიანობაში სხვადასხვა მიმდინარეობის – მართლმადიდებლობის, კათოლიციზმის, პროტესტანტიზმის და ა.შ. წარმოშობის მიზეზი. ყოველი მათგანი ამა თუ იმ ხალხის სოციო-კულტურული თავისებურებების, მენტალიტეტის, ფსიქოლოგიისა და ტრადიციული ფასეულობების ქრისტიანობასთან შერწყმის გამოხატულება გახლავთ. აღსანიშნავია, ისიც, რომ ამ მიმდინარეობებს შორის არსებული წინააღმდეგობა კატეგორიულ და საკმაოდ აგრესიულ ხასიათს ატარებს, რომელსაც ისევ და ისევ ამ მიმდინარეობების მატარებელთა ეროვნული ხასიათი, სოციო-კულტურული სპეციფიკა და აზროვნების თავისებურება განაპირობებს.

რას წარმოადგენს თანამედროვე „ცხოვრების დასავლური წესი?" ეს გახლავთ იმ ნორმათა და ფასეულობათა სისტემა, რომლებიც პროტესტანტული იდეოლოგიითაა შემუშავებული ინგლისურ-საქსონური ეროვნული შეგნების სპეციფიკის საფუძველზე. პროტესტანტული მსოფლმხედველობისა და ინგლის-ამერიკულ-გერმანული მენტალიტეტის საფუძველს წარმოადგენს რაციონალიზმი, მკვეთრი ინდივიდუალიზმი და ანალიტიკურობა, მარტოობაში ცხოვრება და ბრძოლა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი (პრინციპები: „ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა", „მდიდარი ყოველთვის მართალია", „ადამიანი ადამიანისათვის მგელია" და ა.შ.). ყველა ეს თვისება კატეგორიულად მიუღებელია მართლმადიდებლური შეგნებისათვის, რომელიც ეფუძნება ჰუმანიზმს, ხელგაშლილობას, მგრძნობიარობის რაციონალურზე სიჭარბეს, კოლექტივიზმს, კაცთმოყვარეობას, ცხოვრებასა და ბრძოლას მხოლოდ საზოგადოებაში, სხვებთან ერთად. ამ თვალსაზრისით მართლმადიდებლობასთან გაცილებით უფრო ახლოსაა ისლამი, რომელიც ძირითადად ანალოგიურ, აღმოსავლური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ფასეულობებს ეფუძნება. მეტიც, პროტესტანტულ ფსიქოლოგიას მკვეთრად ეწინააღმდეგება კათოლიკური შეგნებაც, კათოლიკური მსოფლმხედველობაც კი. ზუსტად ამის გამო ტრადიციულად კათოლიკური ხალხები „ცხოვრების დასავლური წესის" ათვისებაში „ჩამორჩებიან": იტალიელები, ესპანელები დასავლეთში ამ თვალსაზრისით „ჩამორჩენილ" ერებად ითვლებიან, ფრანგები აქტიურად ეწინააღმდეგებიან საკუთარი ქვეყნის ამერიკანიზაციას, ირლანდიელები ომობენ ინგლისელებთან. ამიტომ მტკიცება იმის შესახებ, რომ ჩვენი დასავლეთთან ერთობის ფაქტორს „საერთო რელიგია" წარმოადგენს, უსაფუძვლოა, აქედან კი გამომდინარეობს მცდარი აზრი თითქოსდა საერთო მენტალიტეტის შესახებ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

## ჩვენი სტუმარია ედიშერ მაღალაშვილი



არც რა მიშველა ცირილმა,
არცა ცრემლთმის დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა

### ბრეჟნევის გარდაცვალებამ გადამარჩინა

ბრეჟნევის დროა, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ტარდება პედაგოგის დღე. ყველა რესპუბლიკის განათლების მინისტრია ჩამოსული. ჩაფიქრებულია საზეიმო საღამო ორკესტრით, სოლისტებით, ქოროთი, ერთი სიტყვით გრანდიოზული სანახაობა მზადდება. მე მთხოვეს კონცერტის დახურვა. უნდა გამოსულიყავი და მეთქვა ყველასათვის ცნობილი ლექსი „იზარდე მწვანე ჯეჯილო, დაპურდი გახდი ყანაო...“

ლექსი შვიდი თუ რვა კუპლეტია, მაგრამ დავიყვანეთ სამამდე. მე მოვითხოვე რეპეტიცია და დილით მივედი ფილარმონიაში. გამოვედი და რას ვხედავ? მთელი სცენა პიონერებითაა სავსე. ორკესტრი ქვევით უკრავს, ბავშვები კი მღერიან „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი...“ მე კი, მათ ფონზე უნდა წავიკითხო „იზარდე მწვანე ჯეჯილო“ (სადაც სადაო?.. მაგრამ ასეა საჭირო და ვერავის შეეკამათები).

ერთი რეპეტიცია, მეორე, ვხედავ არ გამომდის. სიმღერის ტექსტი რომ მესმის, ჩემი მავიწყდება. ვერ ვიტყვი-მეთქი, განვაცხადე რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ. კულტურის განყოფილების გამგე, ცნობილი ნოდარ ჯანბერიძე მეუბნება: – კარგი რა, ედიშერ, ნუ გაჭირვე საქმე, ბავშვები ნუ ჭირვეულობ, გაიმეორე კიდევ, რა უნდა ლექსის წაკითხვაო.

– რა ვქნა, ხომ ხედავ არ გამომდის-მეთქი.

– მიდი, მიდი, გაიარე კიდევ რამდენიმე რეპეტიცია და გამოგივა! – შემაგულიანა მან.

მე წავიკითხე ერთხელ, გავიმეორე, ტექსტი ისევ დამავიწყდა. მეორედაც იგივე განმეორდა, მესამედ დავიწყე და კარგად ჩავედი. ყური შევაჩვიე მუსიკას, სიმღერის ტექსტს არ ვაქცევდი ყურადღებას და ლექსიც შეუფერხებლად წავიკითხე. ნოდარმა – აი, ხომ ხედავ გამოგივიდა – და კონცერტზეც კარგად წაიკითხავო.

წავედი სახლში, მთელი დღე არავის დაველაპარაკე და სულ ტექსტს ვიმეორებდი. მივედი ფილარმონიაში, დაიწყო კონცერტი. ერთი ნომერი, მეორე – მოახლოვდა ფინალური სცენა. გამოცხადდა, ვიმეორებ და ვიმეორებ ტექსტს.

გავედი დარბაზის წინაში. დავდექი ცენტრში. აქედან-იქიდან ბავშვები გარშემორტყმული. მათ დაიწყეს სიმღერა და მეც ომახიანად დავიწყე ლექსის კითხვა:

„იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი გახდი ყანაო,
იკურთხოს იმის მარჯვენამ
ვინც გთესა მოგივლანაო“.

და ამის შემდეგ რაღა ვთქვა აღარ ვიცი. ხელი გავიშვირე მაქს. დარჩა ასე მთელი ორი ტაქტი. ბავშვები მღერიან „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“, ორკესტრი უკრავს, მე კი გაშეშებული და ხელგაშვერილი ვდგავარ. მომდევნო ტაქტზე მოვედი გონს, მოვიკრიბე ძალა და ომახიანად მეთქი – იზარდე, იზარდე, იზარდე! და ამით დამთავრდა კონცერტი.

ვინც მიხვდა ჩემს ნათქვამს, თავზე ხელი იტაცა, ვინც ჩემი ტექსტი არ იცოდა, ყველაფერი ჩვეულებრივად მიიღეს.

ყველაზე დიდი კურიოზი კი ის იყო, რომ კონცერტი ტელევიზიით გადაიცემოდა. მონტაჟი რომ გადაეკეთებინათ, ფინალს მაინც ვერ ამოჭრიდნენ და მაჩვენებდნენ ხელგაშვერილს, ერთი სიტყვით ტელევიზიის ხალხი საგონებელში ჩავარდა, როგორ გადაეცათ გადაცემა, არ იცოდნენ.

სწორედ ამ დროს მსხვილად მომიხდა არც მეტი, არც ნაკლები თვითონ ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევი: კონცერტის მეორე დღეს გარდაიცვალა ეს ცნობილი. მთელი საბჭოთა ქვეყანა გლოვამ მოიცვა და აღარავის ჰქონდა იმ დროში საზეიმო კონცერტისათვის, ვისღა ცხელოდა?



ასე და ამგვარად გადავრჩი ჩემი უხეირო გამოსვლის დაფიქსირებას.

### ტყუილი დეპეშა

თეატრის ცხოვრება რომ კურიოზებითაა სავსე, ეს ყველამ იცის. ეს კურიოზები ხშირად ჩვენგან დამოუკიდებლად ხდება, ხანაც ჩვენ თვითონ ვქმნით ხოლმე მათ. სწორედ ამის შესახებ მინდა გიამბოთ ასეთი ამბავი.

ერთ დღესაც ჩვეულებრივ მივედი თეატრში, ჩვეულებრივ მოვიკითხეთ მეგობრებმა ერთმანეთი, ჩვეულებრივად ვისაუბრეთ და მოვემზადეთ, ეს ჩვეულებრივობა გადაიქცეოდა გაუგონარ ხუმრობად.

ერთ-ერთ მსახიობს (გვარს და სახელს ვერ



გაგიმხელთ) გავუგზავნეთ ასეთი შინაარსის დეპეშა: „დამტკიცებული ხარ ფილმში მთავარ როლზე, გთხოვთ განთავისუფლდეთ თეატრიდან და ჩამობრძანდეთ გადაღებებზე“.

მსახიობს წაკითხული ჰქონდა ფილმის სცენარი, რა თქმა უნდა იცნობდა ამ როლზე და როგორც კი მიიღო დეპეშა, დაიწყო „მოქმედება“. მე გავაფრთხილე თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი, ვუთხარი დეპეშის ამბავი, ვთხოვე ჩვენთან ერთად „ეთამაშათ“ და მსახიობი არაფრით არ გაეშვათ თეატრიდან. ასეც გააკეთეს. ეს ხან დირექტორს ეჩხუბა განთავისუფლებაზე, ხან რეჟისორს, მაგრამ არავინ გამოუშვა და არც რაიმე პასუხი მიიღო.

გადის ორი თუ სამი დღე, მსახიობი დარბის გამწარებული ნაჯახით, გამიშვით გადაღებაზე, თორემ დაგხოცავთო, რა უფლება გაქვთ, რომ მაკავებთ, მთავარ როლზე ვარ დამტკიცებული, თქვენ ისე, თქვენ ისე – ერთი სიტყვით, ჩალაგდა ჩემთან და მიდის. ამ დროს ჩვენ ვეუბნებით, რომ არავითარი გადაღება არ არის, არავითარ როლზე არაა დამტკიცებული და ეს ყველაფერი ჩვენი ხუმრობა იყო.

ჯერ გაშრა, ხმა ვერ ამოიღო. ჩვენ ისევ გავუმეორეთ ნათქვამი, როგორც იქნა გაიგო, გონს მოვიდა, დადგა ჩემთან, ოხ, თქვენო და გამოგვეკიდა. მაგრამ რა გამოგვეკიდა, ვინ სად გავრბოდით და ვინ რას ვახტებოდით, არ ვიცი.

კიდევ კარგი, ნაჯახი აღარ ჰქონდა ხელში, თორემ ის რომ სწყრომა, კარგს ნამდვილად არაფერს დაგვმართებდა.

* * *

მაშინ მარჯანიშვილის თეატრში ვმუშაობდი. ერთ დღეს რეპეტიციას გავდიოდი და მესმის, რომ შეიძლება ავად გახდა. დამინახა თეატრის რეჟისორმა და მითხრა: დღეს შენ ითამაშე შეცვლილი მსახიობის მაგივრადო.

– როგორ, ბატონო ვახო, ჯერ ერთი, შევცვლი, მერე როგორ ვითამაშო და მერე, როლის რა ვიცი-მეთქი?

– მე არ ვიცი, დღეს უცხოელები მოდიან, ან შენ უნდა ითამაშო ან არა და სპექტაკლი მოეხსნება.

რა უნდა მექნა? ავიღე ტექსტი, ვისწავლე ნაწილი, ნაწილი კი ვიცი მაკარნახებს. მივედი სპექტაკლზე, გავიკეთე გრიმი, ჩავიცვი ტანსაცმელი და ჩავდექი. ტანსაცმელი ჩემზე მარჯვნივ და დიდი იყო. მისი ტოგა რომ ჩავიცვი, მკლავები სამჯერ გრძელი აღმოჩნდა, სწორედ ის ჰქონდა სახლოება. რამდენიმე ნაბიჯი, იმდენი ჩამოძირდა, გარდა ამისა, ტანსაცმელი გრძელიც მქონდა. ფეხსაც, ერთი დღისათვის სხვა ტანსაცმელს ვერ მოვიძენდი და არც დრო იყო.

ასე რომ, გავედი სცენაზე, მაგრამ ფრთხილად დავდიოდი, ტანსაცმელზე ფეხი რომ არ დამედგა და არ წავქცეულიყავი.

ჩვეტარიგ რამდენიმე სცენა კულისებიდან მაშველებმა კარგად ჩავატარე. მეორე მოქმედებაში დიდი სიტყვა მქონდა სათქმელი. ლორდები ისხდნენ მაგიდასთან, რომელიც შუა სცენიდან იწყებოდა და ფართოდ მიემართებოდა, ჩადიოდა მაყურებლისაკენ. ამ მაგიდისაგან სხვადასხვა კომბინაცია კეთდებოდა. ხან ხიდი იყო, ხან სახლი, ხან მაგიდა. ეს იყო ჩანაფიქრი თეატრის მხატვარი სუმბათაშვილის. მე დავდექი თავში და დავიწყე ჩემი სიტყვა. მაგიდის ორივე მხრიდან ისხდნენ ლორდები და მისმენდნენ. ვთქვი რამდენიმე წინადადება, ადგილი შევიცვალე და სიცარიელეში ჩავვარდი. თურმე არ უნდა განვძრეულიყავი. ცერიცა ამ სცენას რომ ატარებდა, იცოდა რომელ მხარეს იყო ეს ჩასავარდნი ადგილი. მე კი პირველად ვიყავი სპექტაკლში შესული და ამის შესახებ არ ვიცოდი.

ჩავვარდი სიცარიელეში, ფეხს ვერსად ვერ ვდგამ, ტოგა ხელს მიშლის, საბოლოოდ ჩამოვვარდი, ხელები არ მიჩანს. ერთი სიტყვით იდაყვამდე გავდივარ. ამოვწევი, ვიტყვი სიტყვას, ჩავვარდები სიცარიელეში. კიდევ ამოვიწევი, წამოვისვრი რამდენიმე სიტყვას, ისევ ვვარდები. ამის შემდეგ „ლორდებმა“ სიცილი ვერ შეიკავეს, აიფარეს ხელები, ხითხითებენ და უყურებენ ჩემს ტანჯვას. სპექტაკლში მე ძლიერ პიროვნებას ვთამაშობდი, ძალაუფლება მეჭირა ხელში. ამ მომენტში ძლიერი კი არა, ისეთი საცოდავი ვიყავი, რომ ენით ვერ აგიწერთ.

როგორც იქნა, ამოვძვერი გაოფლილი და გახვითქული, დავასრულე ჩემი სათქმელი, დაიხურა ფარდა და ამოვისუნთქე.

მორიგ სპექტაკლში მე აღარ მითამაშია, ცერა გამოკეთდა და ის გავიდა სცენაზე. კიდევ კარგი, თორემ ახალი თავგადასავლები ნამდვილად არ ამცდებოდა.

### ქალების შიში

სახერეში ვიღებდით ფილმს „ტყის გვამი“. მე და ნოდარ კანდელაკი ვცხოვრობდით ერთ დიდ ოთახში. ჩამოვიდა ვახტანგ ხინჩა, რომელმაც ჩვენთან მოინდომა გაჩერება. სახლის პატრონმა უარი უთხრა, საწოლი მეტი არა მაქვს



და ვერ მიგიღებო. ვახტანგი დაჟინებით ითხოვდა საწოლის გამოძებნას. დიდი ხვეწნის შემდეგ დიასახლისმა ჩვენს გვერდით პატარა ოთახში შეუშვა ვახტანგი და მიუჩინა ლოგინი.

ერთ დღესაც ნოდარი მეუბნება: – მოდი, ბიჭო, ოინი ვუყოთ ვახტანგს და გავქურდოთო. ჩანაფიქრი მომეწონა, დავეთანხმე და ღამით ნაწილ-ნაწილ გადავიტანეთ ოთახში, მივიტანეთ ყველაფერი, ფეხსაცმელი, პერანგი, შარვალი, გადაღების ტანსაცმელიც კი. მერე დავფიქრდით, ვახტანგს ისიც ეყოფა, თავისი ტანსაცმელი რომ აღარ ექნება და მოდი ფილმის კოსტიუმი მაინც დავუტოვოთო. ასეც მოვიქეცით. „ნადავლი“ გამოვყარეთ, ვისრიოლეთ ფანჯრიდან და ჩვენც გადავძვერით.

დილით გვესმის ვახტანგის ყვირილი: – გამქურდეს, გამქურდეს, რა ხდება ეს, ვინ არიან აქ ქურდები?!

შეშფოთდა სახლის პატრონი, ხალხი. ვახტანგმა მიაკითხა ნიკოლოზ პიპინაშვილს, ჩვენს რეჟისორს და შეჩივლა, გამქურდეს ბატონო კოლია, გადაღებაზე ვერ წამოვალო.

– კარგი, რა მოხდა, ვიპოვით ყველაფერს, თუ არა და გიყიდით ახალს – დაამშვიდა მან.

– მარა, მე ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ყველაფერს არ ვიპოვი! – ამბობდა დაჟინებით ვახტანგი.

ჩვენ რამდენიმე ამხანაგს ვუთხარით ოინის ამბავი, ერთად ვისხედით და ვიცინოდით, რომ ასეთი რაღაც გავიგეთ: ბატონი კოლია ამშვიდებს ვახტანგს და ეუბნება: – კარგი ვახტანგ, დაწყნარდი, ეხლა ჭიათურიდან დარეკეს, რომ მოდიან და მოჰყავთ ძაღლები ქურდების დასაჭერად, ისინი ყველაფერს მიაგნებენ და შენც დაგიბრუნებენ ტანსაცმელს.

ამის გაგონება იყო, შევწყვიტეთ სიცილი და დავფიქრდით. რა გვეშველება? საქმე სერიოზულ სახეს იღებს. ძაღლები თუ ჩამოიყვანეს, კარგი ამბავი დაგვემართება, ტანსაცმელი ჩვენთან მოპარულია და ეჭვი არ არის ძაღლები ჩვენ გვეწვევიან. კაცს კი აუხსნი, გეხუმრეთ, მაგრამ ძაღლს როგორ შეაგნებინებ, სერიოზულად არ მიქურდიაო?

ბევრი ფიქრის შემდეგ მე და ნოდარმა გადავწყვიტეთ გვეთქვა სიმართლე, ასე მოვიქეცით და ვახტანგს ძაღლების შიშით უკლებლივ დავუბრუნეთ ტანსაცმელი.

ჩვენ გვინდოდა ოინი გვექნა მეგობრისათვის, მაგრამ აქეთ მოგვივიდა ოინი. ასე დამთავრდა ჩვენი „ხულიგნობის“ ამბავი. ამის შემდეგ ქურდობაზე ხელი ავიღეთ და სხვაგვარ ხუმრობებს მივმართეთ.

### კარნახის სენი

ერთ დროს მსახიობებს „კარნახის სენი“ ჰქონდათ შეყრილი. ვთქვათ, ერთი მსახიობი ამბობდა ტექსტს, დანარჩენებს კი უნდა ესმინათ. ამ დროს ყველა დანარჩენი ამბობდა ამ უკანასკნელის სათქმელს და მსახიობი ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, რომ იძულებული იყო ტექსტი სხვასთან ჩამოერეკებინა.

მარჯანიშვილის თეატრში გადიოდა რეზო თაბუკაშვილის პიესა „რაიკომის მდივანი“. მე ვთამაშობდი გამომგონებელს, რომელიც მთავარ დამნიშნულ იყო, მიღებული ტრაქტორის ახალ სახეობას, რომელიც აღმართზეც იმუშავებდა. ერთ დღესაც სწორედ ჩემი გამოგონების გამო ტრაქტორიდან ვიღებ ნაწილს. ამ დროს მოვარდება ნიაღვარი და ვერ ამუშავებენ ტრაქტორს გზის გასაწმენდად. გადაცემენ, რომ ნაწილი მე ამოვიღე და ჩემი საქციელი თამაშობდა რაიკომის მდივანს [illegible].

მიმდინარეობს სპექტაკლი. ბიურო ტარდება რაიკომის მდივნის კაბინეტში. მაგიდასთან სხედან ხელმძღვანელები და ისმენენ ჩემს განმარტებას.

მდივანი მეკითხება: – რა მოხდა? მე ვიწყებ ჩემს სათქმელს და ამ დროს რა მესმის? ყველა ცალ-ცალკე მკარნახობს ტექსტს. ამის გაგონებაზე ამიტყდა სიცილი. ავიფარე ხელები სახეზე და ვითომ ვტირი, არა და სიცილისაგან აღარ ვარ კარგად.

შევხედე სერგო ზაქარიაძეს, ვიფიქრე ის მკაცრი კაცია, რაღაცას მომიმჯობებს და გადამარჩენს-მეთქი. ბატონ სერგოსაც აუფარებია ხელები სახეზე, ჩემზე უარეს დღეშია და მთელი ტანი ცახცახებს.

ამის შემდეგ დახურეს ფარდა. კულისებში გასულებმა გემრიელად ვიხარხარეთ და მოგვიანებით გავაგრძელეთ სპექტაკლი.



# ფინანსთა მინისტრი გვპირდება

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის შედეგებთან დაკავშირებით, გუშინ ფინანსთა მინისტრმა მიხეილ ჭკუასელმა პრესკონფერენცია გამართა.

აღნიშნულ პერიოდში საკუთარი შემოსავლებით და გრანტებით მიღებულმა თანხამ, მინისტრის თქმით, ნაცვლად 264 მლნ. ლარისა – 254 მლნ. ლარი შეადგინა. სპეციალიზირებული სახსრების დამატებით, სახელმწიფო ბიუჯეტმა 227 მლნ. ლარი მიიღო. შემოსავლების გაზრდის მხრივ, პროცენტული მაჩვენებელი 5 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 6 თვეში 5%-ით გაიზარდა და დაახლოებით 87% შეადგინა. მინისტრის თქმით, თუ 5 თვის შედეგებით ბიუჯეტის დეფიციტი 21,6% იყო, 6 თვეში იგი 15,9%-მდე დაიწია. სახელმწიფო სპეციალიზირებული ფონდების მიხედვით, გეგმის შესრულებამ 90% შეადგინა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ივნისი უხვშემოსავლიანი თვე იყო და გეგმა 100%-ით შესრულდა, რამაც სამინისტროს საშუალება მისცა დავალიანება ხელფასების გაცემის მხრივ 2 მლნ. ლარით შეემცირებინა. რაც შეეხება პენსიებსა და ლტოლვილთათვის გასაცემ თანხებს, ფინანსთა მინისტრი დაგვპირდა, რომ ზაფხულში მდგომარეობა გამოსწორდება. (იფრინდა)

## გვექნება დენი თუ არა?

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში „საქენერგოგენერაციის" გენ. დირექტორის მოადგილემ გიორგი მაყაშვილმა განაცხადა, „ენგურჰესზე" დასრულდა სარემონტო სამუშაოები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სადერივაციო გვირაბის შევსება, რომელიც უკვე 2/3-ით არის გავსებული. გვირაბის სიგრძე 15 კმ-ია, დიამეტრი 9მ. უახლოესი ხანებისათვის დაგეგმილია ჰესის ორი აგრეგატის ამუშავება. ივლის-აგვისტოში ენგურჰესი გამოიმუშავებს დაახლოებით 10–12 მლნ. კვტ. სთ. ელ.ენერგიას დღე-ღამეში, რაც საკმარისი იქნება ქვეყნის ელ.ენერგიით განუწყვეტლივ უზრუნველსაყოფად. ზამთარში ეს რაოდენობა შემცირდება.

გრძელდება სამუშაოები ვარდნილჰესზე. გამყვან არხზე გარკვეული მოცულობის სამუშაოების ჩატარებას დაახლოებით 300 ათასი ლარი დასჭირდება. სარემონტო სამუშაოებს „სპეცგვირაბმშენის" სამმართველო ჩაატარებს. (იფრინდა)

## ფრთხილად: ლიმონათი ფალსიფიცირებულია!

თბილისში პოლიციამ ერთ-ერთი კერძო საწარმოს დირექტორი დააკავა. იგი ეჭვმიტანილია ყალბი, უხარისხო ლიმონათის დამზადებაში.

როგორც პრაიმ-ნიუსს შსსის პრეს-ცენტრიდან აცნობეს, სამქროს ჩხრეკვისას აღმოჩენილია სარეალიზაციოდ გამზადებული 407 ბოთლი ლიმონათი, რომელიც ექსპერტიზამ ფალსიფიცირებულად მიიჩნია. (პრაიმ-ნიუსი)

# განდობა

## თამაზ თავაძე

ბერის ფერხთით მორჩილი იჯდა და სმენადქცეული ბერის გაკვეთილს ისმენდა...

ბნელი ძალები გაუცნობიერებლად ერთიანობას ემსახურებიან. სიკეთის ამ საპირისპირო საწყისს განსაკუთრებით ძლიერი ნაპერწკლის შექმნა შეუძლია. რა მნიშვნელობა აქვს იმას, ურო, რომელიც დარტყმისას ნაპერწკლებს გადმოყრის, თეთრი იქნება თუ შავი? და რადგან თეთრი ურო – სიკეთე თითქმის არ არსებობს, გამოვიყენოთ შავი. ცხოვრებაში ადამიანად უნდა დარჩე, ადამიანური წესით უნდა განვლო გზა. ადამიანობა კი გასწავლის, რომ ყოველგვარ მდგომარეობაში შესაძლებელია დიად მოძრაობათა დაკავშირება, ბოროტების სიკეთედ ქცევა. დაეყრდენი ბოროტებას და სიკეთის წყაროდ გადააქციე. ასე მასწავლიდა მოძღვარი და მაგალითად ამისა წარმოგვიდგინა ლოტოსი.

– შეხედე ლოტოსს! იგი წმინდაა – ირგვლივ ბინძური ჭაობია;

– განსაცვიფრებლად სურნელოვანი, – ჭაობი მყრალი;

– თეთრი, ქათქათა – ირგვლივ ტალახიანი წუმპე;

– ნექტარზე ფუტკარს იზიდავს, – ირგვლივ სისხლისმსმელი კოღო ღრუბლივით ირევა...

სიცოცხლეში ადამიანად უნდა დარჩე, ადამიანის წესით უნდა განვლო სავალი და ლოტოსის თვისებები შეიძინო...

და მეც სიწმინდითა და სიმართლით დავიწყე ჩემი ხალხისადმი სამსახური, მაგრამ ვერ გავუგე ჩემს მასწავლებელს, ბოლომდე ვერ ჩავწვდი მის ნათქვამს და მარტო ქველმოქმედებამ კინაღამ დამღუპა. ხალხი ეშმაკია, ჩემთან დამოკიდებულება მთლიანად ეშმაკობაზე ააგო, სიცრუეს საზღვარი აღარ ჰქონდა, თამაში სისაზიზღრემდე მივიდა:

– ღარიბი პირფერულად ცრუობდა;

– თანამდებობის პირმა პატივისცემა ამაყად მოიხდინა;

– მდიდარმა წუწუნი დაიწყო, – ღმერთი მოგცემსო.

ისე მექცეოდნენ, თითქოს მაწონს ეთავაზობდი და თვითონ მდიდარი, წუნია მყიდველები იყვნენ...

...მე ოკეანე შევთავაზე. ზიზღით მოსინჯეს ერთი კოვზი. ბორკილები დავუმსხვრიე და დამონება დამიპირეს. შხამიანი მორიელი გრძნეულად გადავუქციე, ვასწავლე ფრენა სამყაროსა ზედა. იმათ კი მორიელივით დამგესლეს, გველივით მისისინებდნენ და თვალების ამოკორტნა დამიპირეს.

მათ დარბაზებში დავდიოდი, – ჩემი სიღარიბე მიმანიშნეს. სიუხვეზე ვესაუბრებოდი – დაინახეს ჩემი შიმშილი და მოწყალედ დამაპურეს. თვალები დავხუჭე მათს სიცრუეზე და მართლაც ეგონათ, რომ უცოდველნი იყვნენ და გაამაყდნენ კიდეც.

უშეღავათო ბრძოლას ვქადაგებდი ბედისწერასთან შერკინებისას და ისე გაზარმაცდნენ, რომ თავიანთი ბედისწერაც მთლიანად ჩემს მხრებზე გადმოიტანეს.

ვანახე მარადიულობა 29 წლის შემდეგ, – უსასრულობასთან 29 წელი წამია-თქო და 29 წლის წამება ნამეტანი მოეჩვენათ და ეხლავე გვინდაო.

დადიან დედამიწაზე აჩრდილები, გასატანებული ღვთის შვილები, სნეულნი სიმახინჯისა და არასრულყოფილების მატარებელნი. რაც მეტად ეცემიან, მეტადვე მოსწონთ თავიანთი თავი, რამეთუ სიმახინჯემ სილამაზე შეანაცვლა და თაყვანისცემის საგნად გადაიქცა. რაც უფრო აშკარა ხდებოდა სილამაზის, სრულყოფილების და სულის სიმაღლის აუცილებლობა, მით უფრო მატულობდა შეურაცხყოფა, როგორც სიმდაბლისა და სიმახინჯის ფარდა.

მე კი მაინც ვთესავდი და ვთესავ სიკეთეს, რადგან ბრძნულია კანონი უფლისა, – მაძიებელი თვითონ იპოვის, რადგან უფალი მიიყვანს განძთან და მას, ვინც არ ეძებს, გადაატარებს სამყაროს საგანძურზე ისე, რომ ვერაფერს შეიტყობს დაკარგული, შესაძლო ბედნიერების შესახებ.

რაც უფრო ვსრულყოფდი სულს, მით უფრო აშკარად ვგრძნობდი მიწიერი ცხოვრებისაგან ტანჯვის აუცილებლობას.

საკუთარი თავის შობა, საკუთარი აკვნის დარწევა, მშობიარობის ტკივილის ატანა და უძილო ღამეები, საკუთარ აკვანთან. საკუთარივე თავისთვის ნამღერი იავნანა სიგიჟედ მიიღეს და გამექცნენ...

მრავალი, მრავალი მწარე ნაღველი ვიგემე და, ალბათ, ვიგემებ კიდეც, ვიდრე მე-6 რასა დამკვიდრდება დედამიწაზე და ჩემს ძმებთან ერთად ძეობას ვიზეიმებთ.

დადიან დედამიწაზე აჩრდილები, გასატანებული ღვთის შვილები. სნეულნი, სიმახინჯისა და არასრულყოფილების მატარებელნი. რაც დაბლა ეცემიან, მით მეტად მოსწონთ საკუთარი თავი, რამეთუ სიმახინჯემ სილამაზე შეანაცვლა და თაყვანისცემის საგნად გადაიქცა.

დიდი ნგრევაა შენს ნაკვალევზე, მთლიანად იცვლება სიცოცხლის ელფერი და რაღაა იგი სიკეთე, თუკი ამდენი უნდა დაინგრესო და ერთის მორჩენას ესოდენ დიდი მსხვერპლშეწირვა ესაჭიროებაო. მაგრამ დაავიწყდათ, რომ თუ შემოქმედი მოსულა ოდესმე, მას უპირველესად ნგრევა მოუტანია, რადგან სხვაგვარად გარდაქმნა შეუძლებელია. ასეთია კვალი შემოქმედისა დედამიწაზე.

სულიერი გაცემა ყოველ გაცემაზე შეუდარებლად მეტია და ულევი, ურიცხვი გავეცი და სიღატაკისა და შიმშილისათვის გამწირეს.

იერარქია – სამყაროს არსია, საკუთარი ადგილის ბუნებრივ მოვლენაზე ვამბობდი, მაგრამ როგორც კი დროს მოიხელთებდნენ, თითის ქნევით იწყებდნენ საუბარს.

რამდენი შეშლილი მოვიდა განდიდების წყურვილით შეპყრობილი, გულში ჩამალული პატივმოყვარული მესიანური ზრახვებით, ან მართლაც სულით ავადმყოფი, – ღმერთი ვარო, – ვეუბნებოდი, აზრი ყველაფერია-მეთქი და უსუსური, მითუმეტეს ავადმყოფი აზრის მატარებელი ღმერთი კი არა, საცოდავია-თქო, და გამექცნენ, და ქვა მესროლეს, და შური მომაგებეს და მტრობა დამიწყეს.

...დადიან დედამიწაზე აჩრდილები. მაგრამ მაინც ვთესავდი, დავთესავ კიდეც, რადგან ბრძნულია კანონი უფლისა – მაძიებელი თვითონ იპოვის, რადგან უფალი მიიყვანს განძთან და იმას ვინც არ ეძებს, გადაატარებს სამყაროს საგანძურზე ისე, რომ ვერაფერს შეიტყობს შესაძლო ბედნიერებაზე.

...და დადიან დედამიწაზე აჩრდილები.

...და ველარ ვიპოვე ნათელი, რომელიც დამეხმარებოდა ჩემს დიდ საქმეში და იყო ირგვლივ ბნელი. ამიტომ დავრჩი ბოლოს მთლიანად ხელმოცარული, აღარავითარი სიქველის საშუალება აღარ დამრჩა და უსასრულო განძის პატრონი გავხდი მათხოვარი. მივხვდი ბოლოს, რომ რაღაც გამომრჩა მასწავლებლის დარიგებიდან, რომ მე თვითონ გავწირე თავი და არა მასწავლებელმა, რომელმაც სიბრძნე მხოლოდ მიმანიშნა და ისე შემიყვანა ცხოვრებაში. ცხოვრება კი სასტიკად მკაცრი აღმოჩნდა და დავმარცხდი. სიკეთე ბოროტად გამოიყენეს. გაღატაკდი, ღატაკი კი ვერ იქნები ქველმოქმედი, აღმოჩნდი ქუჩაში. ყველამ შორიდან მიქცია გვერდი. მხოლოდ ზოგიერთი მოწმინდეანო თუ გადაიქნევდა თავს სინანულით – თქვენისთანა ადამიანს როგორ უნდა უჭირდეს ასეო, – თითქოს სხვა იყო ამაში დამნაშავე, თითქოს მას თავისი წილი გულგრილობისა არ მოუტანია ჩემს ბედისწერაში... და გავეცალე ადამიანებს, გადავიხვეწე და განვმარტოვდი უკაცრიელ ტყეში. მინდოდა მასწავლებლის გაკვეთილის სრული ამოხსნა, ჩემი შეცდომის მიზნება. დავდიოდი ტყეში, ვფიქრობდი და ვაკვირდებოდი ბუნებას. აქაც ერთ გაუგებარ მოვლენას წავაწყდი. ბუნება უზენაესი მასწავლებელია და მივხვდი, რომ მოძღვრის შეგონების გასაღებს გადავეყარე.

თითო-ოროლა ხის მჭრელი თუ ამოდიოდა ამ სიშორეზე და ხეებს ჭრიდა. რაც შეეხებოდა მუხას, თელას, ბზას, ფიჭვს თუ სოჭს, განურჩევლად ჭრიდნენ. მაგრამ იყო ერთი გარემოება, რამაც დამაფიქრა. ყველაზე ძვირფასი ხე-სანდალოზი, არ იზრდებოდა დიდგვაროვან ხეთა შორის, არამედ ველური ოხმახების გვერდით, რომლებიც თავისთავად არაფერს წარმოადგენდნენ, შეშად თუ ივარგებდნენ. ხის მჭრელები სანდალოზს თითო-ოროლა ტოტს შემოაცლიდნენ და ასე ნელ-ნელა ეზიდებოდნენ ამ ძვირფას ხეს. იმ ველურ ხეებს კი, რომელთა გარემოცვაშიც სანდალოზი იზრდებოდა, თითსაც კი არ აკარებდნენ. ბევრი ვიფიქრე და ბოლოს ვიკითხე უცნაური საქციელის მიზეზი. მათ მიპასუხეს, ხომ იცით, სანდალოზი უძვირფასესი ხეა და მისგან უძვირფასესი ნაკეთობანი მზადდება. სანზალოზს თუ გარშემო ველური ტყე შემოაცალე, იგი დაიღუპება, რადგან ეს ველური, უჯიშო ხეები კვებავენ მას. სანდალს საზრდოდ აზოტი ესაჭიროება. თვითონ კი სიღრმეზე ვერ ჩააქვს ფესვი. ამ ოხმახებს იოლად ჩააქვთ ფესვი საჭირო სიღრმეზე. სანდალი თავისი ფესვებით ველურის ფესვებს ეკვრება და ეზიარება მათ, მათ საზრდოს ინაწილებს. ესენი რომ არა, სანდალოზი გადაშენდებაო...

გონებაში რაღაც ერთბაშად გამინათდა: პარაზიტი კეთილშობილებას ქმნის და მათ, ვინც გამოკვებავს, იცავს, თვითონვე ეწირება მათ სიცოცხლეს... სანდალი თითქოს პარაზიტია გარეგნულად, ამ დროს კი უსასრულო შემოქმედია, იგი მსხვერპლად ეწირება და სამყაროს განძს უჭედავს... მივხვდი ყოველივეს, ვახსენე ჩემი მოძღვრის სახელი და დავაფასე მისი სიბრძნე: მოწყალება სჭირდება ყველას. ვინც გასაზრდოებს, მას დაცვა, მსახურება, მსხვერპლშეწირვა ესაჭიროება და... საზრდოს კეთილშობილებად გარდაქმნა სამყაროს გარდაქმნა და გაკეთილშობილებაა. ყველაფერი ღვთის განგებაში წესრიგდება.

დავბრუნდი ერში. ნაპერწკალს შავი უროთი ვკვესავ. რასაც სხვა, მეც იგივეს ვაკეთებ და არ ვისჯები. გული ჩემი წმინდაა, გონების ლოტოსი თეთრი და ქათქათა.

# ინგლისის პარლამენტი ჩვენი არ გეგონოთ...

ისე, კაცმა რომ თქვას, მსგავსებაც სადღაც შეიძლება მოიძებნოს. მარტო ამ ერთი წლის წინ რუსეთის ცენტრალური ტელევიზიით ნაჩვენები მუშტი-კრივი რაღ ღირს (ინგლისის პარლამენტში). ბოროტი ენები იმასაც კი ამბობენ, რომ პარლამენტის საპირფარეშო ფიზიკური ანგარიშსწორების არენას წარმოადგენსო. მაგრამ ყველაფერს ხომ არ დაიჯერებს კაცი.

ინგლისელმა კანონმდებლებმა დეპუტატის ყიდვა-გაყიდვის პრობლემას ნაღდი ინგლისური ცივსისხლიანობით მოუგრიხეს კისერი. ამის შემდეგ, დეპუტატს, რომელსაც დაუდასტურდება ქრთამის აღება რაიმე კანონპროექტის სასარგებლოდ ხმის მისაცემად (ლობირებისათვის), მთელი შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა „ეჭყანება". ასე რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, არც იმუნიტეტი შველით და არც საიმუნიტეტო აცრა... აქამდე ინგლისელ კანონმდებელთა უფლება-მოვალეობები ამ სამიოდე საუკუნის წინ მიღებულ ბულაში იყო ფიქსირებული, სადაც დეპუტატისათვის განკუთვნილ ყველაზე მწარე სასჯელად თემთა პალატიდან გაძევება იყო დადგენილი. ალბათ, ინგლისელ პარლამენტართა ეს ნაბიჯი, რომელთა კონსერვატიულ-ტრადიციული მსოფლგაგება საქვეყნოდ არის ცნობილი (ხშირად საანეკდოტო თემაც რომ გამხდარა) ზემოთაღნიშნული და აწ უკვე აკრძალული ქმედებების ძლიერ მომრავლებით შეიძლება აიხსნას.

**კობა კიკნაძე**

*P.S. ინგლისელებს ქე ეშველათ, მარა ჩვენ თუ გვეშველება ნეტა რამე?*

# 14 ადამიანი დაიღუპა

ალტაის მხარეში 14 ადამიანი დაიღუპა ხანძრის შედეგად, რომელიც ტყეს გაუჩნდა. დაღუპულები მეხანძრეები იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ ცეცხლის ჩაქრობას.

## აპარატმა გამოკვლევები დაიწყო

მარსზე, რაიონში, სადაც იმყოფება ამერიკის მინი მარსმავალი, განათდა და აპარატმა დაიწყო პირველი გამოკვლევები. მარსმავალის მოგზაურობა სულ რამოდენიმე მეტრზე მოხდება.

საავტორო გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კლინტონი მადრიდშია

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი ვიზიტად მადრიდში ჩავიდა, სადაც უნდა გაიმართოს ნატოს ქვეყნების მეთაურთა უმაღლესი დონის შეხვედრა, რომლის ალიანსშიც სამი ახალი ქვეყანა იქნება მიღებული. კლინტონი შეხვდება ნატოს გენერალურ მდივანს ხავიერ სოლანას. საუბარი შეეხება ნატოში მიმდინარე კამათს რუმინეთისა და სლოვენიის გაწევრიანების შესახებ, რომელსაც არ უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატები.

## სოციალისტები იმარჯვებენ

ალბანეთში ვადამდელი არჩევნების მეორე ტურმა მშვიდობიანად ჩაიარა. სოციალისტურმა პარტიამ გამარჯვება ჯერ კიდევ პირველ ტურში მოიპოვა და 155 საპარლამენტო ადგილიდან 80 დაიკავა. მეორე ტურის შედეგად სოციალისტები ვარაუდობენ პარლამენტში ადგილების გაზრდას დემოკრატიულ პარტიასთან შედარებით. სოციალისტთა ლიდერმა ფატოშ ნანომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს ახალ მთავრობაში პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავება, მაგრამ არ უხსენებია, თუ ვინ შეიძლება შეცვალოს პრეზიდენტი ბერიშა.

## საზეიმო სვლას შეტაკება მოჰყვა

პორტ ადაუნტში პროტესტანტებმა მოაწყვეს საზეიმო სვლა. ცერემონიამ კათოლიკურ რაიონზე გაიარა, რის გამოც კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის მოხდა შეტაკება. შეტაკების შედეგად მოკლულია ერთი პოლიციელი. პოლიციის უფროსის განცხადებით, ოპერაცია ღამის სამ საათზე დაიწყო და მხოლოდ დღის ორ საათზე დამთავრდა.

## ქუჩებში ბრძოლა გრძელდება

რამოდენიმე დღეა, კამბოჯის დედაქალაქის ქუჩებში გრძელდება ბრძოლა ორ პრემიერ-მინისტრის მომხრეთა შორის. საერთაშორისო აეროპორტი კვლავ დაკეტილია და გაწყვეტილია სატელეფონო კავშირი. დაღუპულთა რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია.

## პრეზიდენტის შვილს ასამართლებენ

კორეაში დაიწყო პრეზიდენტის შვილის სასამართლო პროცესი, რომელსაც ბრალი ედება მექრთამეობასა და გადასახადების გადაუხდელობაში. მის შემდეგ ჩუ სასამართლო დარბაზში იჯდა ხელბორკილებით. პრეზიდენტმა კიმმა ოფიციალურად ბრალდების წაყენებამდე ტელევიზიის საშუალებით საჯაროდ მოიბოდიშა შვილის საქციელზე.


## იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

### ბინები

იყიდება ან იცვლება ვაკეში თამარაშვილის ქ. №11-ში მე-10 სართულზე 5 ოთახიანი ბინა ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000$ ტელ. 23-26-83

იყიდება ორსართულიანი გარემონტებული ბინა, 200 კვმ ეზოთი, მიმდებარე ადგილზე ნაკვეთით, 500 კვმ ხეხილით, საწყისი ფასი 14000$ მის. სოფ.გლდანი. სტალინის ქ.№12 გია ბურდული

იყიდება 120 კვმ მიწის ნაკვეთი სართიჭალის ცენტრში. ხეხილით, ვენახით და მუდმივი წყლით. ფასი 1500$ ტელ. 63-36-13

იყიდება 3 ოთახიანი პრივატიზებული ბინა ოფისისათვის ან მაღაზიისათვის ქალაქის ცენტრში. მელიქიშვილის ქუჩაზე. პირველ სართულზე. საერთო ფართი 75 კვმ, ჭერის სიმაღლე - 3.15 მ, 3 მანქანის სადგომით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-39-54

სურამში იყიდება ორსართულიანი, კეთილმოწყობილი სახლი ტელეფონით, გარაჟით, ეზოთი. ტელ. 98-92-22 მარინა (5 სთ-ის შემდეგ)

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ალმაშენებლის №14-ში, გარემონტებული, იზოლირებული, ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-86-61

იყიდება 1 ოთახიანი ბინა ტელეფონით დიღმის მასივში. მე-14 სართულზე, ტელ. 51-86-37; 67-22-94

იყიდება თბილისიდან 12 კმ-ის დაშორებით სოფ. შინდისში 3 სართულიანი სახლი, 600 კვმ ხეხილიანი მიწის ნაკვეთით ან იცვლება 1-ან ან 2 ოთახიან ბინაზე თბილისში ტელ. 34-46-11

იყიდება 4 ოთახიანი ბინა ნაძალადევის რ-ნში, ცოტნე დადიანის №5. ფასი 32000 დოლარი. ტელ. 95-88-38 მერი

იყიდება დუშეთის რ-ნის სოფ. ჭოპორტში 2 სართულიანი დაუმთავრებელი სახლი 1000 კვმ მიწის ნაკვეთით. ან იცვლება 1 ან 2 ოთახიან ბინაზე თბილისში. ტელ. 34-46-11

იყიდება ხუთოთახიანი გარემონტებული ბინა საბურთალოს ცენტრში. საერთო ფართობი 160 კვმ ავტოფარეხით, სარდაფით. ფასი 70000$ ტელ. 38-01-11

იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა კოჯორში. ფასი 2500$ ტელ. 38-01-11

იყიდება ექვსოთახიანი სარემონტო საუკეთესო ბინა ქვემო ვერაზე. ფართი 200 კვმ, ფასი 120000$ ტელ. 38-01-11

იყიდება კერძო ბინა ავჭალის ცენტრში. ავტოსადგომით, ავეჯით და ტელეფონით. საწყისი ფასი 10000$ ტელ. 62-52-62

სოფელ მეჯვრისხევში, შრომის უბანში, ლოლაანთ დასახლებაში იყიდება ერთსართულიანი ბინა საჰაერო სარდაფით. სინათლე და კანალიზაცია ახალი გაყვანილია. ნაკვეთი 700 კვმ-ია. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-69-35

იყიდება 3 ოთახიანი გასარემონტებელი ბინა მიშენებით, რკინის კარებით, ტელეფონით ნუცუბიძეზე, კაფე „შატილთან". მის. ნუცუბიძის 2 მკრ-ი, კვ2, კორპ. 10, სართ. 4. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ ნებისმიერ დროს. ტელ. 60-26-06; 64-64-65

### ქირავდება

ქირავდება 90 კვმ ფართის ბინა ვაკეში, I სართულზე, ავეჯით, ტელეფონით. გვაქვს ცხელი წყალი. ელექტროენერგია მუდმივია. სასურველია ოფისისათვის. ტელ. 23-16-96

ვიქირავებ ერთოთახიან ბინას მუხიანში, გლდანში ან სარაჯიშვილის გამზირზე. 50 ლარის ფარგლებში. ტელ. 63-63-25 ჰანრი

ქირავდება 4 ოთახიანი საუკეთესო ბინა უცხოელებზე. ფასი თვეში 100$ ტელ. 38-01-11

### სხვადასხვა

იყიდება საბანკო და ფინანსური ტერმინების ინგლისურ-რუსული ლექსიკონი, შედგენილი და გამოცემული მსოფლიო ბანკის მიერ. ფასი 6 ლარი. ტელ. 52-79-51

შევისყიდი სანაყინე მაცივარს. ტელ. 22-86-19

სასწრაფოდ შევისყიდი ჩეხური წარმოების გიტარას შეღავათიან ფასებში. ტელ. 64-76-77 მაიკო

იყიდება გერმანული აკორდეონი. ფასი 120 ლარი. ტელ. 98-38-98; 98-99-71

იყიდება კაფელი 20X15. 1 კვმ-ის ფასი 8 ლარი. ტელ. 60-26-06 ირინა

### ქირავდება

შევასწავლი გიტარაზე სიმღერების დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს. ტელ. 64-76-77 მაიკო

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**
**93-18-41**

საქართველოში ერთადერთი
**თბილისის ბიზნესის აკადემია**
აცხადებს მიღებას მენეჯერულ-ეკონომიკური და იურიდიული პროფილის რიგ დეფიციტურ სპეციალობებზე (ქართულ და რუსულ სექტორებზე).
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ბიზნესის აკადემიის მიმღებ კომისიაში.
მისამართი: თბილისი, გაფრინდაულის ქუჩა, 2 (მეტრო „წერეთელი", დიდუბის პანთეონის უკან), მე-5 სართული, ოთახი 510.
ტელ. 34-03-16; 34-03-42


### გია ჭანტურიას ვაჟიშვილს გიორგი ჭანტურიას 18 წელი შეუსრულდა

7 ივლისი. დღე შობისა წმინდა იოანე ნათლისმცემლის

✝

შვილო გიორგი, გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და სიხარულს, ორსავე სოფელსა შინა. გაიზარდე დიდი, ჭკვიანი ბიჭი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი, სულით ხორცამდე ქართველი!

გახსოვდეს მარად, ბედნიერია ის, ვისი გულიც მამულისათვის ძგერს.

გეხვევი, ჩემო პატარა ვაჟკაცო.

შენი მამა გია ჭანტურია
ვიატკა-ჩეპეცკი, 1984 წელი

**შვილო გიორგი!**

გილოცავ დაბადების დღეს. იოანე ნათლისმცემელი იყოს შენი შემწე და მფარველი. წმინდა გიორგი გაგიძღვეს ქართველობის საპატიო და მძიმე გზაზე. იყავ დღეგრძელი, გეხვევი, გკოცნი.

შენი მამა გია ჭანტურია

ამ იტალიურ მოსალოცზე გამოსახულია ყრმა ფერდინადი მედიჩთა საგვარეულოდან.

ბოტიჩელის ამ ნახატზე გამოსახული ეს მოაზროვნე, ჩაფიქრებული სახე და ნაღვლიანად ამღერებული, მეტყველი თვალები ჩემს გიორგისაც მიუმსგავსე!

გია ჭანტურია

**ჩვენო გიორგი (გიო)!**

*გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და ჭეშმარიტ კაცურ-კაცობის სახელს.*

*გკოცნით, გეხვევით*

ლილი, ოთარი ჭანტურიები
და ირინა სარიშვილი-ჭანტურია,
1997 წლის 7 ივლისი


ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

ლიცენზირებულია №091

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89


## საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

**ძ**

ძაბილაშვილი – 41 (თბილისი – 4; რუსთავი – 3; საგარეჯო – 34);

ძაგიშვილი – 27 (თბილისი – 14; მცხეთა – 5; ქუთაისი – 8);

ძაპტაშვილი – 34 (ზუგდიდი – 28; ახმეტა – 3; თბილისი – 2);

ძაძამიძე – 24 (თბილისი – 23; თიანეთი – 1);

ძებისაური – 21 (გორი – 3; თბილისი – 18);

ძებოშვილი – 20 (დუშეთი – 3; თბილისი – 17);

ძეგველაშვილი – 26 (თბილისი – 15; გორი – 5; ახმეტა – 2);

ძეგლიგაშვილი – 47 (ახმეტა – 21; გარდაბანი – 13; თბილისი – 8);

ძელაური – 32 (დედოფლისწყარო – 12; თბილისი – 12; ზუგდიდი – 2);

ძერყორაშვილი – 49 (ახალგორი – 36; თბილისი – 8; რუსთავი – 5);

ძიბელაშვილი – 30 (გურჯაანი – 23; თბილისი – 7);

ძიგანიძე – 35 (ზესტაფონი – 32; თბილისი – 3);

ძიგვაშვილი – 45 (ვანი – 19; ქუთაისი – 11; თბილისი – 7);

ძიგურაშვილი – 38 (თბილისი – 24; თიანეთი – 11; მცხეთა – 1);

ძირკველაშვილი – 41 (გურჯაანი – 13; თბილისი – 8; საგარეჯო – 8);

ძმორაშვილი – 32 (თბილისი – 16; გორი – 6; მცხეთა – 2);

ძმორიშვილი – 30 (ქარელი – 30);

ძროხელაშვილი – 39 (თიანეთი – 33; თბილისი – 3; მცხეთა – 1);

ძუკაშვილი – 22 (თბილისი – 6; დუშეთი – 4; მცხეთა – 4);

ძულაშვილი – 48 (თეთრიწყარო – 38; თბილისი – 8; ახმეტა – 1).

● შიდა ქართლი

# მკვლელობათა სერია

1997 წლის 2 თებერვალს ცხინვალის რაიონში, სოფელ ზემო არცევში ვინმე მარეკ დუდაევმა მოკლა ფლავისმანელი ბესიკ თენაძე. დუდაევი იძებნება. მკვლელობის მიზეზები გაურკვეველია. ამის შემდეგ, მაისში, თენაძის ნათესავმა, ვინმე დავით თენაძემ, ბესიკ თენაძის საფლავზე მოკლა ზემო არცეველი ბოლოთაევი. ამ ფაქტის შემდეგ ოსებმა ააფეთქეს ბესიკ თენაძის საფლავი, ხოლო დავით თენაძის სახლში ხელყუმბარა შეაგდეს. ფლავისმანელმა ქოზაშვილმა მოკლა დვალიშვილი, რის შემდეგაც მოკლეს ქოზაშვილის მამა. ასეთი ერთმანეთთან დაკავშირებული მკვლელობები ძალზე გახშირდა სამაჩაბლოში. როგორც შიდა ქართლის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა ნოდარ დალაქიშვილმა თქვა, ქართველი მხარის წარმომადგენლები შეხვდნენ ოსურ მხარეს, ამ საკითხების მოგვარებაში ჩაერთვნენ სამშვიდობო ძალებიც. ყველა დამნაშავე პირი დადგენილია. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დაკავებული უნდა იყოს ორივე მხარის დამნაშავეები. ტარდება ღონისძიებები მათ დასაკავებლად.

# სამშვიდობო ძალები შიდა ქართლში

სამაჩაბლოში სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს ყველას თავისი მეთაური ჰყავს. საერთო ხელმძღვანელია გენერალ-მაიორი იურევი, რომელიც სულ ერთი თვეა, რაც დაინიშნა. კონფლიქტის ზონა ისაზღვრება 15 კმ-ის რადიუსით (ცხინვალიდან გორამდე სულ 28 კმ-ია) და გორის რაიონის სოფლებამდე გადმოდის (ქვეში, ფლავისმანი, ტირძნისი). იურევმა შექმნა მობილური პროფილური ჯგუფი, რომელიც ჯავშანტრანსპორტიორით მოძრაობს. მოქმედებენ რა დადგენილი წესით, როგორც მან განაცხადა, უფლება აქვთ 15 კმ-იანი ზონის გარეთაც გავიდნენ და აქ საგანგაშო არაფერია.

როგორც კი პარლამენტში დაიწყო მსჯელობა აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ, გავრცელდა ხმა, რომ იგივე მოთხოვნებს წაუყენებენ სამაჩაბლოში მყოფ რუსეთის ჯარსაც. ამან ერთგვარად დაძაბა სიტუაცია, თუმცა მნიშვნელოვანი ექსცესი არ მოჰყოლია.

**„საქართველოს" შიდა ქართლის ბიურო**

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება"

# ჩეკისტური მეთოდები და პოლიტიკური სამძებრო

## ფილიპ ბობკოვი

„ჩეკისტური მეთოდები"? ნეტავ რა აქვს მხედველობაში? – გავიფიქრე. ალბათ, იგულისხმება რაღაც პოლიტიკური კონტრდაზვერვის სამმართველოს მსგავსი. ანდროპოვს არ დაუმალავს, რომ ამგვარი სამმართველოს შექმნის შესახებ დასკვნა მან გააკეთა 1956 წლის უნგრეთის ამბებზე დაკვირვების დროს, რომელთა თვითმხილველიც თვითონ იყო, ბუდაპეშტში საბჭოთა კავშირის ელჩის პოსტზე ყოფნისას. ჩეკისტური მეთოდები ბევრის წარმოდგენაში გაიგივებული იყო „პოლიტიკური სამძებროს", „ოხრანკის" ცნებებთან. ამ საკითხებზე გვქონდა საუბარი იმ ჩემთვის სამახსოვრო საღამოს.

საბოლოოდ ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ არ შეიძლება სირაქლემას პოზა გვეკავოს. ან რეალურად ვიცავთ სახელმწიფოს, ან ვქმნით მოქმედების ილუზიას და მჟღერალა ფრაზეოლოგიას ვეფარებით.

უშიშროების ორგანოების მთავარი ფუნქცია არის კონსტიტუციური წყობის დაცვა – არა ხელისუფლების სათავეში მდგარი ხალხის, არამედ, სწორედ სახელმწიფოებრივი წყობის დაცვა. ბუნებრივია, იბადება კითხვა: როგორ ხორციელდება ეს ამოცანა სხვა ქვეყნებში? მე არ ვიცი რამდენი ადამიანი ირიცხება აშშ, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის ან სხვა სახელმწიფოების კართოტეკებში, ან რამდენი აგენტი მუშაობს მათი კონტრდაზვერვის სამსახურში. ერთი რამ ნამდვილად ვიცი: ყოველ სახელმწიფოში სპეცსამსახურები ძირფესვიანად სწავლობენ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას და თავიდან იცილებენ სახელმწიფო წყობისათვის საშიშ პროცესებს.

დასავლეთის ბევრ ქვეყანაში მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყავთ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები, ვთქვათ, ემიგრანტები. საფრანგეთში, მაგალითად, მაღალჩინოსანი პირების ვიზიტის დროს „არაკეთილსაიმედო პირებს" უსაფრთხოების მიზნით კორსიკაზე ასახლებენ.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა გაეგო ფდს-ს ამერიკის კომუნისტურ პარტიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, თუ მათ არ ჰყავდათ აგენტები პარტიის შიგნით. ან როგორ უნდა ებრძოლათ ზანგების ექსტრემისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ, თუ „შიგნიდან" არ იცნობდნენ მდგომარეობას. ასეთი სიტუაციების შეფასება მხოლოდ ნაცადი ხერხებით შეიძლება, რომლებიც მთელ მსოფლიოში გამოიყენება.

ვინ უნდა მოკიდოს ამ საქმეს ხელი? რა თქმა უნდა, კონტრდაზვერვამ. ეს არის ცნობილი, ყველა სახელმწიფოში ლეგალურად არსებული პოლიტიკური ორგანო. სწორედ რომ პოლიტიკური, რამეთუ კონტრდაზვერვის მუშაობის ძირითადი აზრი სიტუაციის პოლიტიკურ კონტროლში მდგომარეობს. ისე რომ, სიტყვათშეხამება „პოლიტიკური სამძებრო" გარკვეულად ამახინჯებს სახელმწიფოსათვის აუცილებელ სამუშაოს აზრს იმით, რომ ტოლობის ნიშანს სვამს კანონიერსა და უკანონო მოქმედებებს შორის.

მე მხოლოდ სქემატურად გადმოვეცი ი.ვ.ანდროპოვის მოსაზრებები ახლადშექმნილი სამმართველოს მუშაობის მიზნებისა და მეთოდების შესახებ, მაგრამ იმ მომენტში მე ვხედავდი, რომ მას დეტალურად და ღრმად ჰქონდა გაანალიზებული სუკ-ის სისტემის გარდაქმნის მიმართულებები. რაკი მისი გეგმების ძირითადი აზრი გავიგე, გადავწყვიტე, რომ ეს არის საჭირო და მნიშვნელოვანი საქმე და მის წინადადებაზე თანხმობა მივეცი.

ანდროპოვმა შემატყობინა, ვის დანიშვნას აპირებდა სამმართველოს უფროსად. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ვ.ფ.კადიშევი, იგი დაინიშნა სამმართველოს უფროსად, მე კი – მის პირველ მოადგილედ. დადგა საკითხი სხვა მოადგილეების შესახებ. მე დავასახელე ორი კანდიდატურა. ანდროპოვმა დაამატა კიდევ ერთი. მე გავჩუმდი. მან გაიმეორა იგივე კანდიდატურა. მე ძველებურად არავითარი რეაქცია არ გამოვამჟღავნე.

– როგორც მე ვვარაუდობ, – მითხრა ანდროპოვმა, – შენ მხარს არ უჭერ ჩემს კანდიდატურას, ყოველ შემთხვევაში, არ გინდა განხილვა?

– მე, უბრალოდ, თავს ვიკავებ.

– საერთოდ, რას ფიქრობ იმ ხალხის შესახებ, ვისთან ერთადაც მოგიწევს მუშაობა, შეგიძლია მათ შესახებ რამის თქმა?

– იური ვლადიმეროვიჩ, თუ თქვენ ამ კითხვას ნახევარი წლის შემდეგ დამისვამთ, მე გიპასუხებთ, რას ვფიქრობ. ამჯერად კი არავითარი დახასიათების მიცემა არ შემიძლია. დღეს-თქვენს ირგვლივ მრავალი ადამიანი ტრიალებს. ისეთებიც არიან, ვინც თავის გამოჩენისათვის ამხანაგის დალუპვასაც არ მოერიდება. ექვსი თვის შემდეგ თქვენ ბევრ რამეს დაინახავთ. აი, მაშინ გეტყვით, ვისზე რას ვფიქრობ.

ანდროპოვს გაეღიმა, თანხმობის ნიშნად თუ ირონიულად, ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩემი პირობის აზრი გაიგო. და მართლაც, ზუსტად ექვსი თვის შემდეგ დამირეკა.

– იცი, დღეს რა დღეა?

– ვხვდები.

– მაშ მოდი, ვისაუბროთ.

მაშინ, ჩვენი პირველი შეხვედრის დროს, იგი დიდხანს მელაპარაკებოდა თავისი გეგმების შესახებ ახალ სამმართველოსთან მიმართებაში. ხაზი გაუსვა, რომ საინტერესო სამუშაო გველოდებოდა. შემომთავაზა „დებულების" შემუშავება ახალი ქვეგანყოფილებისა, რომელსაც მე-5 სამმართველო ეწოდა.

– ჩავთვალოთ, რომ ჩვენ შევთანხმდით, – მითხრა გამომშვიდობებისას.

მე დიდი მონდომებით მოვკიდე ხელი საქმეს. იმისათვის, რომ უკეთესად გაიგოთ ანდროპოვის ცხოვრებისეული პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ჩვენს მუშაობას, მცირე გადახვევა მინდა გავაკეთო.

აქ რა თქმა უნდა, უადგილო იქნებოდა პარტიულ თემებზე დისკუსია. მხოლოდ ერთი დოკუმენტის მოყვანას ვაპირებ – 1921 წელს ლენინის მიერ დაწერილი IX პარტიული კონფერენციის რეზოლუცია. მასში ნათქვამია:

„9. პარტიის შიდა ცხოვრება ისე უნდა განხორციელდეს, რომ საშუალება იყოს უფრო ფართომასშტაბიანი კრიტიკის, როგორც ადგილობრივი, ისე პარტიის ცენტრალური აპარატისა დავალოს ცკ-ს მიუთითოს შიდაპარტიული კრიტიკის მეთოდები საერთო კრებებისათვის. შეიქმნას ლიტერატურული ორგანოები, რომლებიც უფრო სისტემატურ და ფართო კრიტიკას განახორციელებენ (სადისკუსიო ფურცლები და ა.შ.), რისთვისაც ცენტრში, „ცკ იზვესტიას" ბაზაზე საჭიროა შეიქმნას სადისკუსიო ფურცელი. სასურველია ამგვარი სადისკუსიო ფურცლების შექმნა სხვა საგუბერნიო კომიტეტების „იზვესტიების" ბაზაზეც.

...არანაირი რეპრესიები არ უნდა ელოდეთ ამხანაგებს იმის გამო, რომ ისინი სხვაგვარად მოაზროვნენი არიან პარტიის ამა თუ იმ გადაწყვეტილებათა მიმართ. ეს დაუშვებელია.

ლენინი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს პარტიის ფართომასშტაბიანი კრიტიკის მნიშვნელობას, მისი შეცდომების პრესაში და კრებებზე განხილვის საჭიროებას.

რა მოხდა ლენინის შემდგომ? ლენინის მოძღვრება დოგმად გადააქციეს, რაიმე შეცდომაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. „პარტიის ყოველი გადაწყვეტილება არის იმ გზის მანათობელი ვარსკვლავი, რომელიც დიდმა ლენინმა დაგვისახა!" ჩვენდა საუბედუროდ, ამ არაკორექტულ ინტერპრეტაციას ვერავინ აღუდგა წინ. ე.წ. სხვაგვარად მოაზროვნეთა დიდი ნაწილი გამოდიოდა ცალკეული დამახინჯებების წინააღმდეგ, არ უარყოფდნენ ლენინურ გზას. ისინი ამით ადასტურებდნენ იმ დამახინჯებებს.

აი, კიდევ რამდენიმე ციტატა IX პარტკონფერენციის რეზოლუციიდან: „16. დაევალოს ყველა პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკს, რეგულარულად აწარმოოს პარტიული სამუშაო (პარტიული და არა სამეურნეო, – ფ.ბ.) უპირველეს ყოვლისა, პროლეტარიატის დაბალ ფენებში, გლეხობასა და წითელ არმიაში, რისთვისაც ყველა პასუხისმგებელი მუშაკი, დაკავებული თანამდებობისაგან დამოუკიდებლად, მიმაგრებული უნდა იქნას პარტიის საფაბრიკო, საქარხნო, წითელარმიულ და სასოფლო კომიტეტებთან. ისინი ვალდებულნი არიან დაესწრონ ყველა საერთო კრებას და ჩააბარონ ამ კრებებს თავისი მუშაობის ანგარიში– შრომათობებზე დახარჯული დრო არა მარტო უშუალო სამეურნეო შედეგების თვალსაზრისით, არამედ ყოველი კომუნისტის მიერ ყველა პარტიული ვალდებულების პირნათლად შესრულების ხარჯზე პარტიის ერთიანობის განმტკიცებით უნდა შეფასდეს. პასუხისმგებელი მუშაკების განთავისუფლება ამა თუ იმ პარტიული ვალდებულებისაგან უნდა მოხდეს მხოლოდ რაიკომის დადგენილებით, საპატიო მიზეზების საფუძველზე".

დასაწყისი იხ. „საქართველო" №48-66.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# შაყირვორდი



მხოხავ დაზვერვაზე: 1. მოლოდინე უბანი თბილისში; 3. ვალიკოს „გამთელებული" სანათი მოსკოვში; 4. „გასატანი" კუნძული; 9. სურებიანი სოფელი ქართლში; 10. მაშვალთა მაშვალი ფრინველი; 13. რა აკლია კომპლექტს „...ტანკისტი და ძაღლი?" 14. ხმის გავარდნის ნივთ-საშუალება; 15. აზარტული მარტოხელა; 16. გოგონას მეორე ნახევარი; 17. ფულიანი სახეხი; 19. ათი დროში; 20. „ნემსის მზითვი"; 21. ცხრაკლიტულის მლეწავი ხარი; 23. „ზიზღიანი" ქართი ქალი"; 25. მეფეთა ფულიანი ხელმოსაწერი; 27. „კლიჩკიანი" „მოსკვიჩი"; 28. „გამოქლიავებული" ქვეყანა; 29. სახეზე „გამოსაყენებელი" სამშენებლო მასალა; 30. „გულის ცენტრალნაიას" გულისწორი; 32. ქურდი უჯოკერო კალოდაში; 37. რა აკლია ლეონის კორსიკამდე; 38. „ის ჩვენ" – ხილი (რუს.კავშ.); 39. ტყუილა კაცი; 41. თხზულება, რომელსაც არ მიიღებენ, მაგრამ უარს არ იტყვიან; 42. კვერცხისა და შაქრის დუეტი.

სარბადაყლაპული: 2. „მოალერსე თეატრი" (რუს.კავშ.); 3. მუსიკალური მარინე გიორგის ასული; 5. მწარედ მოტყუებული არქიტექტორი, რომელიც „ვერაა კარგად"; 6. იაპონური „კარგი" აპარატი; 7. მომცინარე მეცნიერება; 8. იმის დიდი პარტია, რაც არ უნდოდათ, მაგრამ მიიღეს; 11. უცნობი; 12. ბრაზიანი ქვეყანა; 18. ჭიჭიკიას „დათვზე" მონადირე ძაღლი; 19. ტკბილი სახელმწიფო ვაკეში (ქართ. რუს.კავშ.); 22. „სოიუზ"-ის ძმაკაცი; 24. მაჯანკალი კაცი; 26. ვარდენას „გასუქებული" ქალიშვილი; 29. რა აკავშირებს ჩერჩილს კუბასთან; 31. სხეულის „მოკლე" დასაკოდად გამოსაყენებელი ნაწილი; 33. კაკოს „საძმოს" წევრი; 34. ჭამაში მოსული; 35. „სანარკოზო" სამზარეულო ნივთი; 36. ფეხიდან თავზე მცოცავი; 40. პერპენტუუმ მათემატიკაში.

**დათა კოტია**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. გილიოტინა; 7. ურიკა; 8. იდეა; 9. დოსიე; 10. ია; 11. ოლიმპო; 12. ბაჯი; 13. ნაიბი; 15. ბზიფი; 17. ქებური; 19. ავარა; 21. სომხეთი; 22. ტიტა; 23. ომეგა; 24. სანიტარი; 25. ლარი; 26. ირაო; 27. ბრმა; 29. კანი; 30. ერი; 31. სიათა; 32. ინტრიგა; 35. თრიალეთი; 39. ლოკონი; 41. კლეოპატრა; 42. აზიზი; 43. აია; 44. აისი.

შვეულად: 1. აგამემნონი; 2. ალავერდი; 3. დოკერი; 4. გირაო; 6. ადისაბება; 13. ბალმონტი; 16. ზიარება; 18. რესტორანი; 20. ამაო; 22. ტილიკო; 27. ბათუმი; 28. არბიტრი; 31. სინემა; 33. გოგანტი; 34. ეთნოსი; 36. ამარტი; 37. ალიზი; 38. კობზა; 40. ნადი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444